

ბენოიდ შიიერი

კლიმატის ცვლილების
შემსუბუქება, როგორც ადამიანის
უფლებათა ხელშეკრულებებით
გათვალისწინებული
ვალდებულება?

თბილისი
2022

კლიმატის ცვლილების შეხსუბუქება, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულება?

ბენოიტ მეიერი*

რეზიუმე

მოსამართლეებმა და მეცნიერებმა მოახდინეს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია, რომლებიც სახელმწიფოებს ვალდებულებს, შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილება მათივე სათბური გაზების გამოყოფის შემცირების გზით. ამ არგუმენტს არსებითი მნიშვნელობა აქვს კლიმატის დაცვის საქმეში. წინამდებარე სტატია ასეთი ინტერპრეტაციის მართლზომიერების საკითხს განიხილავს. ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი სახელშეკრულებო ვალდებულება ითანამშრომლოს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სფეროში. სტატიაში მოყვანილია არგუმენტები, თუ რამდენად ეფექტურად განაპირობებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქება ინდივიდთა მიერ სახელშეკრულებო უფლებების გამოყენებას სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ფარგლებში. როგორც ასეთი, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მხოლოდ ვიწრო ფანჯარას გვიხსნის კლიმატის ცვლილების შემსუბუქების იმ ზოგად ვალდებულებათა გამოყენებადობის გამო, რომლებიც კლიმატის ხელშეკრულებებითა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით წარმოიშობა.

* ასოცირებული პროფესორი, ჩინეთის ჰონგ კონგის უნივერსიტეტი, სამართლის ფაკულტეტი, ჰონგ კონგი, ჩინეთი. დამხმარე კომენტარებისა და მოსაზრებებისათვის, მადლობას ვუხდის ანატოლ ბოუტს, ქრისტოფერ ქემპბელ-დურუფელს, ჯონ ნოქსს, გერი ლისტონს, ფრედერიკ მეგრეტს, ქრისტიანა ვოიტს, ალექსანდერ ზაჰარს, ოთხ ერთსულოვან მიმოხილველს და რედაქტორს.

თარგმანის ავტორი ნაზიბროლა ჩინჩალაძე
რედაქტორი თამონა ბითაძე

ნაშრომი გამოიცა თარგმანის ავტორის ხარჯებით

Copyright © The Author(s), 2021. Published by Cambridge University Press on behalf of The American Society of International Law. This is an Open Access article, distributed under the terms of the Creative Commons Attribution licence (<http://creativecommons.org/licenses/by/4.0/>), which permits unrestricted re-use, distribution, and reproduction in any medium, provided the original work is properly cited. doi:10.1017/ajil.2021.9

ISBN 978-9941-8-5002-8

შესავალი

სახელმწიფოებმა აღიარეს, რომ კლიმატის ცვლილება და მისი მავნე შედეგები კაცობრიობის საერთო საზრუნავია და საერთაშორისო თანამშრომლობას საჭიროებს¹. კლიმატის ცვლილების შემსუბუქება არსებით ძალისხმევას მოითხოვს სათბური აირის (GHG) გამოყოფის შესაკავებლად და გლობალურ დონეზე შესამცირებლად.² თუმცა, როდესაც სახელმწიფოები ერთობლივად ხედავენ იმის საჭიროებას, რომ ინვესტიცია განახორციელონ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების არსებით ძალისხმევაში, ყოველი სახელმწიფო გონივრულად მიიჩნევს საკუთარი გამოყოფის არშემცირებას, ნაცვლად იმისა, რომ შემსუბუქების საკითხში სხვათა მიღწევებს დაეწიოს.³ კოლექტიური მოქმედების ამ პრობლემას თან ერთვის ობიექტური ფორმულის არარსებობა იმისთვის, რომ განისაზღვროს გლობალური შემსუბუქების საჭირო დონე და მობილიზდეს მისი მისაღწევი ძალები.⁴ კარგა ხანია, სახელმწიფოებს გაცნობიერებული აქვთ, რომ, საერთო ჯამში, მათ არ შეუძლიათ მნიშვნელოვანი შემსუბუ-

-
- 1 United Nations Framework Convention on Climate Change, pmbl., პარაგრაფები 2, 7, May 9, 1992, 1771 UNTS 107; Paris Agreement, pmbl., პარაგრაფები 6, 8, Dec. 12. 2015, 55 ILM 740 (2016)
 - 2 Myles R. Allen, და სხვ., Technical Summary, in GLOBAL WARMING OF 1.5°C: AN IPCC SPECIAL REPORT 25, 31 (Valérie Masson-Delmotte, et al. eds., 2019).
 - 3 STEPHEN M. GARDINER, A PERFECT MORAL STORM: THE ETHICAL TRAGEDY OF CLIMATE CHANGE 26 (2011); ERIC A. POSNER & DAVID WEISBACH, CLIMATE CHANGE JUSTICE 170 (2010).
 - 4 იხ.: Myles R. Allen, Opha Pauline Dube & William Solecki, Framing and Context, in GLOBAL WARMING OF 1.5°C, supra note 2, at 56–67; GARDINER, supra note 3, at 5; Reto Knutti, Joeri Rogelj, Jan Sedláček & Erich M. Fischer, A Scientific Critique of the Two-Degree Climate Change Target, 9 NATURE GEOSCIENCE 13 (2016); Lavanya Rajamani, Ambition and Differentiation in the 2015 Paris Agreement: Interpretative Possibilities and Underlying Politics, 65 INT'L & COMP. L. Q. 493 (2016).

ქება განაპირობონ, თუმცა, ჯერ კიდევ აძლიერებენ საკუთარ წვლილს ამ საქმეში.⁵ ეროვნული სამართალწარმოება სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც საერთაშორისო მოლაპარაკებათა წარუმატებლობის დაძლევის გზა.⁶

გარემოს საერთაშორისო ხელშეკრულებების მიხედვით,⁷ სახელმწიფოთა ფართო ვალდებულებები კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას ითვალისწინებს და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის თანახმად,⁸ შესაძლოა კიდევ უფრო ფართო ვალდებულებებიც განაპირობოს. თუმცა, როგორც წესი, მოსარჩელები ამ ვალდებულებათაგან ვერც ერთს ვერ უძღებენ.⁹ მეტწილად, როდესაც კლიმატის სამართალწარმოება საერთაშორისო სამართალზეა დაფუძნებული,¹⁰ ის ძირითადად ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს ემყარება.¹¹

5 იხ.: Dec. 1/CP.21, Adoption of the Paris Agreement, პარაგრ. 17, UN Doc. FCCC/CP/2015/10/Add.1 (Jan. 29, 2016); Dec. 1/CP.25, პარაგრ. 8, UN Doc. FCCC/CP/2019/13/Add.1 (Mar. 16, 2020).

6 იხ.: generally JOANA SETZER & REBECCA BYRNES, GLOBAL TRENDS IN CLIMATE CHANGE LITIGATION: 2020 SNAPSHOT (2020); Jacqueline Peel & Jolene Lin, Transnational Climate Litigation: The Contribution of the Global South, 113 AJIL 679 (2019).

7 იხ.: text at notes 76–79 infra.

8 იხ.: text at notes 81–85 infra

9 იხ.: note 92 infra.

10 Regarding litigation based on purely domestic legal provisions, იხ., მაგ.: Rb Den Haag (District Court, The Hague), June 24, 2015, ECLI:NL:RBDHA:2015:7145 (Urgenda/Staat der Nederlanden), unofficial English translation ECLI:NL:RBDHA:2015:7196 (Neth.) [hereinafter Urgenda (Rb)] (tort law); Corte Supreme de Justicia [CSJ] [Supreme Court], abril 5, 2018, MP Luis Armando Tolosa Villabona, STC4360-2018, Radicación No. 11001-22-03-000-2018-00319-01, Barragán/Presidencia, available at <https://cortesuprema.gov.co/corte/wp-content/uploads/2018/04/STC4360-2018-2018-00319-011.pdf> (Colom.) [hereinafter Barragán] (constitutional rights); Juliana v. United States, 947 F.3d 1159 (9th Cir 2019) [hereinafter Juliana] (public trust doctrine).

11 იხ.: Jacqueline Peel & Hari M. Osofsky, A Rights Turn in Climate Change

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიხედვით, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები ადამიანის უფლებათა დასაცავად, ხოლო, ვინაიდან კლიმატის ცვლილება აღძრავს ადამიანის სხვადასხვა უფლებების გამოყენებას, არსებობს სულ მცირე შესაძლო არგუმენტი, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებში შეიძლება შედიოდეს სახელმწიფოთა ვალდებულება კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

ამ არგუმენტმა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა ჰპოვა მიმდინარე წლებში, სახელდობრ, გაეროს ადამიანის უფლებათა ორგანოების მხრიდან. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის (CESCR) თქმით, „იმი-სათვის, რომ იმოქმედონ ადამიანის უფლებათა ვალდებულებების შესაბამისად“, ხელშეკრულებათა მხარე სახელმწიფოებმა უნდა გადახედონ ეროვნულ დონეზე დადგენილ სტანდარტებს (NDCs) კლიმატის ცვლილების გლობალური შემსუბუქების მოქმედებებთან დაკავშირებით, რომლებიც პარიზის შეთანხმებით იკისრეს.¹² ქალთა დისკრიმინაციის აღკვეთის კომიტეტმა სახელმწიფოებს დაუდგინა ვალდებულება, რომ „ეფექტურად აღკვეთონ... კლიმატის ცვლილება კატასტროფის მომატებული რისკის შესამცირებლად“.¹³ ხელშეკრულების შემქმნელი ეს ორი ორგანო ურთიერთობდა სამ სხვა ორგანოსთან იმ დებულების შემუშავებისას, რომ-

Litigation?, 7TRANSNAT'L ENVTL. L. 37 (2018); SETZER & BYRNES, *supra* note 6, at 1; Peel & Lin, *supra* note 6, at 684–85. იხ.: also note 19 *infra*.

12 CESCR, Statement: Climate Change and the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, პარაგრ. 6, UN Doc. E/C.12/2018/1 (Oct. 31, 2018). იხ.: Paris Agreement, *supra* note 1, Art. 4(2).

13 Committee on the Elimination of Discrimination Against Women (CEDAW), General Recommendation No. 37 on the Gender-Related Dimensions of Disaster Risk Reduction in the Context of Climate Change, პარაგრ. 14, UN Doc. CEDAW/C/GC/37 (Mar. 13, 2018)

ლის თანახმადაც, ადამიანის უფლებების ხელშეკრულებებთან შესაბამისობაში ყოფნისათვის სახელმწიფოებმა „უნდა მიიღონ და განახორციელონ პოლიტიკა, რომლის მიზანაც გამოყოფის შემცირებაა... და რომელიც უმაღლეს შესაძლო ამბიციას გამოხატავს“.¹⁴ შესაბამისად, ხელშეკრულების ორგანოებმა გაითვალისწინეს პოლიტიკასა და ღონისძიებებთან დაკავშირებული რეკომენდაციები კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე დასკვნითი დაკვირვებებით მომზადებულ პერიოდულ ეროვნულ ანგარიშებზე.¹⁵

გარდა ამისა, ეროვნულ დონეზე გარკვეული მოვლენები განვითარდა ძირითადად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან დაკავშირებით.

ნიდერლანდური არასამთავრობო ორგანიზაცია „ურგენდა“ აცხადებს, რომ ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს დადგენილებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა, დაიცვას სიცოცხლის, ასევე პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცი-

14 CEDAW, და სხვ., Joint Statement on „Human Rights and Climate Change“ (Sept. 16, 2019), at <https://perma.cc/6VXT-LAD4>.

15 მაგ.: CESCR, Concluding Observations, Sixth Periodic Report of Norway, პარაგრაფები 10–11, UN Doc. E/C.12/NOR/CO/6 (Apr. 2, 2020); CESCR, Concluding Observations, Fourth Periodic Report of Ecuador, პარაგრაფები 11–12, UN Doc. E/C.12/EQU/CO/4 (Nov. 14, 2019); Committee on the Rights of the Child (CRC), Concluding Observations, Combined Fifth and Sixth Periodic Reports of Australia, პარაგრაფები 40–41, UN Doc. CRC/C/AUS/CO/5-6 (Nov. 1, 2019); CRC, Concluding Observations, Combined Fourth and Fifth Periodic Reports of Japan, პარაგრ. 37, UN Doc. CRC/C/JPN/CO/4-5 (Mar. 5, 2019); CESCR, Concluding Observations, Sixth Periodic Report of Germany, პარაგრაფები 18–19, UN Doc. E/C.12/DEU/CO/6 (Nov. 27, 2018); CESCR, Concluding Observations, Fourth Periodic Report of Argentina, პარაგრაფები 13–15, UN Doc. E/C.12/ARG/CO/4 (Nov. 1, 2018); CEDAW, Concluding Observations, Ninth Periodic Report of Norway, პარაგრაფები 14–15, UN Doc. CEDAW/C/NOR/CO/9 (Nov. 17, 2017); CESCR, Concluding Observations, Sixth Periodic Report of the Russian Federation, პარაგრაფები 42–43, UN Doc. E/C.12/RUS/CO/6 (Oct. 16, 2017).

ის (ECHR) მიხედვით, მან ჩამოაყალიბა ვალდებულება, რომ 2020 წლისთვის სათბური გაზების გამოყოფა 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით¹⁶ მინიმუმ 25%-ით მაინც შეამციროს. Natur og Ungdom-ის (ნორვეგიული გარემოსდაცვითი ახალგაზრდული ორგანიზაცია) საპირისპიროდ, ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით,¹⁷ ბენზინის წარმოების ათი ლიცენზიის გაცემა არ შეიცავს „რეალურ და მყისიერ“ საფრთხეს სიცოცხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრებისათვის, თუმცა სასამართლო ვერ მივიდა იმ დასკვნამდე, გამონვევა უფრო ფართოდ მიმართული იქნებოდა თუ არა კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ეროვნული პოლიტიკისაკენ.¹⁸ შემსუბუქების ვალდებულებებზე დამყარებული სარჩელები, რომლებიც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებიდან გამომდინარეობს, ამჟამად მიდის სხვა ეროვნული სასამართლოებისაკენ,¹⁹ ევროპის ადამიანის უფლებათა

16 HR Nederlanden (Supreme Court of the Netherlands) Dec. 20, 2019, ECLI:NL:2019:2006 (Urgenda/Staat der Nederlanden), unofficial English translation 59 ILM 814 (2020) (Neth.) [hereinafter Urgenda (HR)].

17 HR-2020-2472-P, პარაგრაფები 168, 171, Dec. 22, 2020, Case No. 20-051052SIV-HRET, unofficial English translation, available at https://www.xn--klimasmml-95a8t.no/wp-content/uploads/2021/01/judgement_translated.pdf (Natur og Ungdom/Norway) (Nor.) [hereinafter Natur og Ungdom]

18 იხ.: id., პარაგრ. 173. A key aspect of the case is the Court's emphasis on the „principle” or „division of responsibilities” according to which a state is not responsible for emissions from the combustion of exported oil. იხ.: id., პარაგრ. 159.

19 მაგ.: CE Sect., Nov. 19, 2020, ECLI:FR:CECHR:2020:427301.20201119 (Grande-Synthe/France), Decision on Admissibility (Fr.) [hereinafter Grande-Synthe]; Appeal Notice in Case C-565/19 P, 2019 OJ (C 372) 16 (July 23) (EU); Tribunal de Première Instance francophone de Bruxelles [TFI] [French Speaking Tribunal of First Instance of Brussels], Case 15/4585/A, Klimaatzaak/Belgium (filed Dec. 4, 2014), available at <http://climatecasechart.com/non-us-case/vzw-klimaatzaak-v-kingdom-of-belgium-et-al>.

სასამართლოსაკენ²⁰ და ორი სახელშეკრულებო ორგანოსაკენ²¹. გარდა ამისა, კონსტიტუციური უფლებების საფუძველზე²² შედარებითი საქმეები მომზადდა, რომელთაც ხშირად მსგავს ანალიზთან²³ მივყავართ. როდესაც პროცედურულ საფუძველზე ზოგიერთი საქმის უარყოფა ხდება – მაგალითად

20 Application by KlimaSeniorinnen v. Switzerland (Nov. 26, 2020), available at <http://climatecasechart.com/non-us-case/union-of-swiss-senior-women-for-climate-protection-v-swiss-federal-parliament>; Communicated Case No. 39371/20, Duarte Agostinho v. Portugal (Nov. 13, 2020), <http://hudoc.echr.coe.int/en-g?i%001-206535>.

21 Petition to the Committee on the Rights of the Child, Sacchi/Argentina (filed Sept. 23, 2019), available at <http://climatecasechart.com/non-us-case/sacchi-et-al-v-argentina-et-al>; Petition of Torres Strait Islanders to the United Nations Human Rights Committee (petition filed May 13, 2019), available at <http://climatecasechart.com/non-us-case/petition-of-torres-strait-islanders-to-the-united-nations-human-rights-committee-allegingviolations-stemming-from-australias-inaction-on-climate-change>

22 მაგ.: BVerfG, 1 BvR 2656/18, Mar. 24, 2021, at http://www.bverfg.de/e/rs20210324_1bvr265618.html (Ger.) [hereinafter Neubauer]; Misdzi Yikh v. Canada, 2020 FC 1059 (Can.) [hereinafter Misdzi Yikh]; Mathur v. Ontario, 2020 ONSC 6918, at <https://canlii.ca/t/jbph7> (Ont.); La Rose v. The Queen, 2020 FC 1008 (Can.) [hereinafter La Rose]; Hunbeobjaepanso [Const. Ct.], 2020 Heonma 389 (Do-Hyun Kim/South Korea); Environnement Jeunesse c. Procureur Général du Canada, [2019] QCCS 2885, at <https://canlii.ca/t/j1ghh> (Que.). Some other cases involve the application of both constitutional and treaty rights: იბ.:; მაგ.: Grande-Synthe, supra note 19; Natur og Ungdom, supra note 17; Friends of the Irish Environment v. Ireland [2020] IESC 49, [2020] 2 ILRM 233 (Ir.); Verwaltungsgericht Berlin [VG] [Administrative Court Berlin] Oct. 31, 2019, VG10K412.18, Backsen/Germany, unofficial English translation available at <http://climatecasechart.com/non-us-case/family-farmers-and-greenpeace-germany-v-german-government> (Ger.) [hereinafter Backsen].

23 On territorial application, იბ.: note 118 infra. Constitutional law may however include different definitions of rights and related obligations. For instance, the Canadian Charter of Rights and Freedoms does not create positive obligations, which hinders its application as the source of an obligation to mitigate climate change. იბ.: La Rose, supra note 22, პარაგრაფები 66, 79; Misdzi Yikh, supra note 22, პარაგრ. 91. Some constitutions protect rights (მაგ.: to a healthy environment) that are not systematically recognized in human rights treaties.

ძალაუფლების გადანაწილების კონკრეტულ კონცეფციებთან დაკავშირებით²⁴ ან პოზიციის შენარჩუნების შეუძლებლობის გამო²⁵ — დანარჩენი საქმეები არსებით გარემოებებზე დაყრდნობით, მრავალი წლის შემდეგ გვარდება.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, როგორც აღკვეთის ვალდებულების წყარო,²⁶ ფართოდაა მხარდაჭერილი შესაბამის ლიტერატურაში. მიქაელ ბურგერი და ჯესიკა ვენცი, მაგალითად, აღნიშნავენ „მზარდი კონსენსუსის არსებობას, რომლის მიხედვითაც, შემსუბუქების ვალდებულება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლითაა განსაზღვრული“.²⁷ თუმცა ეჭვები ხანდახან მაინც ჩნდება. ათწლეულზე მეტი ხნის წინ, გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ანგარიშით განისაზღვრა, რომ „როდესაც კლიმატის ცვლილებას აშკარა ზეგავლენას ახდენს ადამიანის უფლებათა აღსრულებაზე, ნაკლებად საფიქრებელია, თუ რამდენად შეიძლება ასეთი ზეგავლენები ადამიანის უფლებათა დარღვევად შეფასდეს წმინდა სამართლებრივი

24 მაგ.: La Rose, supra note 22; Misdzi Yikh, supra note 22. იხ.: Juliana, supra note 10 (by analogy in a public trust case).

25 იხ.: references contained in notes 103–110 infra.

26 იხ.: მაგ.: MARGARETHA WEWERINKE-SINGH, STATE RESPONSIBILITY, CLIMATE CHANGE AND HUMAN RIGHTS UNDER INTERNATIONAL LAW (2019); SUMUDU ATAPATTU, HUMAN RIGHTS APPROACHES TO CLIMATE CHANGE (2016); John H. Knox (Special Rapporteur on the Issue of Human Rights Obligations Relating to the Enjoyment of a Safe, Clean, Healthy and Sustainable Environment), Report, UN Doc. A/HRC/31/52 (Feb. 1, 2016) [hereinafter Knox, 2016 Report] (on the human rights obligations relating to climate change); John H. Knox, Climate Change and Human Rights Law, 50 VA. J. INT’L L. 163 (2009); HUMAN RIGHTS AND CLIMATE CHANGE (Stephen Humphreys ed., 2009). იხ.: generally UN OHCHR, Frequently Asked Questions on Human Rights and Climate Change 31, Fact Sheet No. 38 (2021).

27 Michael Burger & Jessica Wentz, Climate Change and Human Rights, in 7 ELGAR ENCYCLOPEDIA OF ENVIRONMENTAL LAW 198, 205 (Michael Faure ed., 2015).

გაგებით”.²⁸ ლავანია რაჯამანიმ აღნიშნა, რომ მოლაპარაკების ბევრი მხარე „იყო სკეპტიკური ადამიანის უფლებათა მიდგომის გამოყენებადობის მხრივ, ისევე, როგორც კლიმატის პროცესის კომპლექსური და გარკვეული დღის წესრიგის ვიწრო ფარგლების მიმართ და ახალი მეთოდოლოგიური თუ კონცეპტუალური მიდგომებისადმი”.²⁹ ალან ბოილემ მიიჩნია, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიზეზები, შედეგები და პასუხისმგებლობანი „ძალიან მრავალრიცხოვანია და მეტისმეტად ფართოდაა გავრცელებული იმისთვის, რომ შედეგიანად პასუხობდეს ადამიანის უფლებათა ინდივიდუალურ პრეტენზიებს ან ანალიზს ადამიანის კონკრეტულ უფლებებთან დაკავშირებით”.³⁰ ფანი თორნტონი დაინტერესდა, არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირები კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე ორიენტირებულ სახელმწიფოებრივ მოქმედებასა და ადამიანის უფლებების აღსრულებას შორის. გარდა ამისა, შესაძლოა „ძალიან დამაინტრიგებელი და დიფუზიური იყოს“ წინააღმდეგობრივი იურიდიული შემთხვევის დასაბუთება.³¹

ეს შეხედულებები ამტკიცებს, რომ კლიმატის ცვლილება მრავალგვარად განსხვავდება იმ საკითხებისაგან, რომლებიც ადამიანის უფლებათა ძირითად კანონებს უკავშირდება: პასუხისმგებლობები დიფუზურია, არ არსებობს მსხვერპლთა

28 Office of the UN High Commissioner for Human Rights, Report on the Relationship Between Climate Change and Human Rights პარაგრ. 70, UN Doc. A/HRC/10/61 (Jan. 15, 2009).

29 Lavanya Rajamani, Human Rights in the Climate Change Regime, in THE HUMAN RIGHTS TO A HEALTHY ENVIRONMENT 236, 250 (John Knox & Ramin Pejan eds., 2018)

30 Alan Boyle, Climate Change, the Paris Agreement and Human Rights, 67 INT’L & COMP. L. Q. 759, 777 (2018)

31 Fanny Thornton, The Absurdity of Relying on Human Rights Law to Go After Emitters, in DEBATING CLIMATE LAW (Benoit Mayer & Alexander Zahar eds., 2021).

განსხვავებული კლასი, ხოლო სახელმწიფოს ზებუნებრივი მოქმედება კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად, თავისთავად, არასოდეს არის პრობლემის გადაჭრის სწრაფი და ეფექტური გზა.

ეს სტატია აგებულია ამ წინასწარგამოთქმულ ეჭვებზე, რომლებითაც ფასდება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაციის, როგორც სახელმწიფოს ვალდებულების წყაროს, შესაძლებლობა, შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება. წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ანალიზი კრიტიკული, თუმცა კონსტრუქციულია. სტატიაში შემოთავაზებულია ახალი, შესაძლო გზა — რომელიც ხელშეკრულების ინტერპრეტაციის მიდგომების შესაბამისია — ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ისე უნდა ააგოს, როგორც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულების წყარო და ჯერჯერობით ეს განახორციელოს მხოლოდ უკიდურესად შებლედულ გარემოებებში. სტატიის მიხედვით, იმისათვის, რომ თანხმობაში იყოს სახელშეკრულებო ვალდებულებებასთან და დაიცვას ადამიანის უფლებები, სახელმწიფო უნდა მუშაობდეს კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად იმდენად, რამდენადაც ასეთი თანამშრომლობის ფარგლებში შესაძლებელია ამ უფლების ეფექტურად გამოყენება ინდივიდების მიერ მის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. როდესაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი შეიძლება ასე ასრულებდეს თავის როლს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მხრივ გარკვეული გარემოებების პირობებში, ეს როლი გაცილებით შებლედულია, ვიდრე მოსამართლეებსა და მეცნიერებს წარმოედგინათ.

მეორე ნაწილში განხილულია შესაბამისი კონცეპტუალური საფუძველი კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასა

და ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს შორის. კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ზოგად ვალდებულებათა საპირისპიროდ, რაც წარმოიშობა გარემოს საერთაშორისო შეთანხმებებით ან ჩვეულებითი სამართლით, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები გაურკვევლობას ქმნის. ხშირად ბუნდოვანია სამართლებრივი საფუძველი იმისთვის, რომ მოიცვას კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სახელმწიფოებრივი ვალდებულებები, ხოლო ის, რაზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს, არის პირდაპირი, ადგილობრივი, მოკლენიანი ქმედების ღირებულება სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებში, ვიდრე მისი უფრო ფართო, გრძელვადიანი სარგებელი.

შესაძლოა ვინმეს საკამათოდ მოეჩვენოს და იკითხოს, თუ როდის იყო ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები გამიზნული ასეთი ფართო ზეგავლენის განსახორციელებლად. და მაინც, მიუხედავად კლიმატის ცვლილების იდენტიფიცირებადი მსხვერპლების არარსებობისა, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები იმპლემენტაციის ზოგიერთი მექანიზმის გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც სხვაგვარად ხელმისაწვდომი არც არის შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებთან მიმართებაში. სტატიის მესამე ნაწილში წარმოჩენილია შემსუბუქების ვალდებულებათა იდენტიფიცირების შესაძლებლობა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების საფუძველზე. ამოსავალი პრობლემაა ისაა, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა დაიცვან ადამიანის უფლებები ძირითადად საკუთარ ტერიტორიაზე, ამრიგად, სტერილურნი დარჩნენ შემსუბუქების ქმედებათა გლობალური სარგებლისადმი.

ფართოდ გავრცელებული თეორიების საპირისპიროდ, ეს პრობლემა ვერ გადაიწონება ადამიანის უფლებათა ხელ-

შეკრულებების ტერიტორიულ ფარგლებს გარეთ გამოსაყენებლად საერთაშორისო სამართლის ისეთი ინტერპრეტირებით, როგორცაა „კოლექტიური ვალდებულებები“, ან მინიშნება სახელმწიფოთა ძირითად ვალდებულებაზე, რომ ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა მოსაგვარებლადაც საერთაშორისო სამართალია საჭირო, ეს უკანასკნელი გამოიყენონ (თანამშრომლობის სხვისდამი მიმართული ვალდებულება). პრობლემა მაინც შეიძლება აღვიქვათ იმ გაგებით, რომ ადამიანის უფლებათა დაცვის სახელმწიფოებრივი ვალდებულება გამოხატავს წინასწარგანზრახულ მოვალეობას, ითანამშრომლოს შემდეგ საკითხებში: სახელმწიფო კეთილსინდისიერად უნდა თანამშრომლობდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მხრივ, თუ — სავარაუდოდ სხვა სახელმწიფოები მისდევენ იმავე მიზანს — ამით მოსალოდნელია ინდივიდების უფლებების დასაცავად გაწეული დახმარება საკუთარ ტერიტორიასა და მისივე იურისდიქციის ქვეშ.

დაბოლოს, სტატიის მეოთხე ნაწილში განხილულია გზები, თუ როგორ უნდა იქნას ინტერპრეტირებული კლიმატის ცვლილების ვალდებულებათა განხორციელება ადამიანის უფლებების ხელშეკრულებების მიხედვით. სისტემატური ინტეგრაციის პრინციპით, შემსუბუქების ვალდებულებების ინტერპრეტაცია უნდა ითვალისწინებდეს სხვა შესაბამის ნორმებს, შემსუბუქების ძირითად ვალდებულებებთან ერთად, რომლებიც განპირობებულია კლიმატის ხელშეკრულებებითა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალით. მეცნიერებამ და სასამართლო პრაქტიკამ ვერ ააგო ეს პრინციპი მაშინ, როცა განსაზღვრავდა, რომ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულებისა და სახელმწიფოსთან თანხმობაში მოსასვლელად, ის სრულად უნდა ეთანხმებოდეს

ყველა ძირითად ვალდებულებას კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით.

სტატიაში განსაზღვრულია, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები უფრო ღიაა მხოლოდ გარკვეული ფანჯრისათვის შემსუბუქების ძირითადი ვალდებულებების გამოყენებადობის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელის მასშტაბები ხელშეკრულების მიხედვით იცვლება, ხოლო უფლება და ეროვნული გარემოებები ამ საკითხზე მოქმედებს კერძოდ, შესაძლო შემსუბუქების სარგებელით სასარგებლოდ სახელმწიფოს ტერიტორიასა და იურისდიქციის ფარგლებში. ვინაიდან ადამიანის უფლებათა არც ერთი ხელშეკრულება სრულად არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სარგებელს ადამიანის კეთილდღეობისათვის, მომავალი თაობებისათვისა და ეკოლოგიური რესურსებისათვის, შემსუბუქების მკვეთრად გამოხატულ ვალდებულებებს შეუძლიათ, მხოლოდ ვიწრო გზა დაუთმონ შემსუბუქების ძირითად ვალდებულებას.

I. ადამიანის უფლებათა აქტუალურობა

ეს ნაწილი მოიცავს თავდაპირველ მიმოხილვებს ადამიანის უფლებების აქტუალურობასა და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით. თავდაპირველად, ის განიხილავს შერეულ მიმართებას კლიმატის ცვლილებასა და ადამიანის უფლებათა გამოყენებას შორის: როცა კლიმატის ცვლილება ეხება ადამიანის უფლებებით სარგებლობას, მიმდინარეობს მოქმედება კლიმატის ცვლილების შესამსუ-

ბუქებლად, რომლის „ღირებულება“ ადამიანის უფლებებით სარგებლობისათვის არის უფრო ლოკალური და გადაუდებელი, ვიდრე მისი „ბენეფიტი.“ გარდა ამისა, ეს ნაწილი განიხილავს ადამიანის უფლებათა სამართლის სტრატეგიულ პროცედურულ უპირატესობებს პოტენციური მოსარჩელის თვალით, აღნიშნავს რა, რომ ვინმე „მსხვერპლის“ აღმოჩენის სირთულე სახელმწიფოს მხრიდან კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მიუღწევლობით შეიძლება იწვევდეს გარკვეულ (მაგრამ, არა ყველა) სასამართლო და კვაზი-სასამართლო პროცედურას, რაც ძირითადად ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით არის ხელმისაწვდომი.

A. შერეული მიმართება კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასა და ადამიანის უფლებებს შორის

1. კლიმატის ცვლილების გავლენა ადამიანის უფლებებზე

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ორი სახის ვალდებულებას წარმოშობს: ნეგატიურ ვალდებულებებს, რომ „პატივის სცენ“ (ე.ი., თავი შეიკავონ დარღვევისაგან) ადამიანის უფლებებს და პოზიტიურ ვალდებულებებს, რომ „დაიცვან“ და „აღასრულონ“ ადამიანის უფლებები.³²

ადამიანის უფლებათა ზოგიერთი ხელშეკრულება კონკრეტულად მიუთითებს სახელმწიფოთა ვალდებულებაზე „გადადგას საჭირო ნაბიჯები... ისეთი საკანონმდებლო ან სხვა ზომების მისაღებად, რაც საჭიროა“ ადამიანის უფლე-

32 მაგ.: WALTER KÄLIN & JÖRG KÜNZLI, THE LAW OF INTERNATIONAL HUMAN RIGHTS PROTECTION 87 (2d ed. 2019).

ბათა განსახორციელებლად,³³ ან უბრალოდ „მიიღონ ყველა საჭირო ზომა იმის უზრუნველსაყოფად“, რომ ინდივიდებმა საკუთარი უფლებებით სარგებლობა შეძლონ.³⁴

უფრო ზოგადად, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ არ დაუშვას რაიმე საფრთხე ადამიანის უფლებების მიმართ, როდესაც ამ საფრთხეს ადამიანური წარმოშობა აქვს (ე.ი., დანაშაული) ან განპირობებულია ბუნებრივი მოვლენით (ე.ი., ბუნებრივი კატასტროფით).³⁵

ადამიანის პოზიტიური უფლებების ვალდებულებები ქცევითი ვალდებულებებია: სახელმწიფოს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულებრივი მოქმედებისათვის, თუ ის ვერ ახერხებს სათანადო მოქმედებას შედეგების თავიდან ასაცილებლად.³⁶

კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი პანელის მეხუთე შეფასების ანგარიში ასახავს გლობალურ მეცნიე-

33 International Covenant on Civil and Political Rights, Art. 2(2), Dec. 16, 1966, 999 UNTS 171 [hereinafter ICCPR]. იხ.: International Covenant on Economic, Cultural and Social Rights, Art. 2(1), Dec. 16, 1966, 993 UNTS 3 [hereinafter ICESCR].

34 Convention on the Rights of the Child, Art. 2(2), Nov. 20, 1989, 1577 UNTS 3

35 იხ.: H.R. Comm., Views, პარაგრ. 7.3, Commc'n No. 2751/2016, Portillo Cáceres/Paraguay, UN Doc. CCPR/C/126/D/2751/2016 (Sept. 20, 2019); H.R. Comm., General Comment No. 36, Article 6: Right to Life, პარაგრ. 26, UN Doc. CCPR/C/GC/36 (Sept. 3, 2019); John H. Knox (Independent Expert on the Issue of Human Rights Obligations Relating to the Enjoyment of a Safe, Clean, Healthy and Sustainable Environment), Mapping Report, პარაგრაფები 47–61, UN Doc. A/HRC/25/53 (Dec. 30, 2013); Budayeva v. Russia, 2008-II Eur. Ct. H.R. 269, პარაგრაფები 128–129.

36 იხ.: Stoicescu v. Romania, App. No. 9718/03, პარაგრ. 59 (Eur. Ct. H.R. July 26, 2011); H.R. Comm., General Comment No. 31: The Nature of the General Obligation Imposed on States Parties to the Covenant, 8, UN Doc. CCPR/C/21/Rev.1/Add.13 (May 26, 2004); Velásquez-Rodríguez v. Honduras, Merits, Judgment, Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 4, პარაგრ. 172 (July 29, 1988). On the concept of obligation of conduct, იხ.: Pierre-Marie Dupuy, Reviewing the Difficulties of Codification: On Ago's Classification of Obligations of Means and Obligations of Result in Relation to State Responsibility, 10 EUR. J. INT'L L. 371 (1999).

რულ კონსენსუსს, რომ კლიმატის ცვლილება „ინვეს ზემოქმედებას ბუნებრივ და ადამიანურ სისტემებზე“³⁷ ექსტრემალური ამინდის მოვლენის სიხშირის ან სიმწვავის ზრდით, მტკნარი წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობის შემცირებით, ასევე ეკოსისტემებზე, პროდუქტის წარმოებაზე, ადამიანთა ჯანმრთელობაზე, ცხოვრების ციკლზე, და სიღარიბეზე მოქმედებს სხვა მრავალ მოვლენასთან ერთად.³⁸

კლიმატის ცვლილების მრავალი ეფექტი ეხება ადამიანის უფლებების გამოყენებას სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ჩათვლით (ე.ი., სიცოცხლის უფლებისა და საკუთრების უფლების),³⁹ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს (ე.ი., ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლებას და ჯანმრთელობის შესაძლო უმაღლესი სტანდარტის უფლებას),⁴⁰ ასევე – მესამე თაობის უფლებებს (ე.ი., როდესაც საჭიროა უფლება ჯანმრთელ გარემოზე)⁴¹.

როგორც მერი რობინსონმა განაცხადა, კლიმატის ცვლილება იქნება „უდიდესი საფრთხე ადამიანის უფლებებისათვის ოცდამეერთე საუკუნეში“.⁴² სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები გაჯერებული უნდა

37 7 Christopher B. Field, და სხვ., Technical Summary, in CLIMATE CHANGE 2014: IMPACTS, ADAPTATION, AND VULNERABILITY, PART A: GLOBAL AND SECTORAL ASPECTS. THE WORKING GROUP II CONTRIBUTION TO THE FIFTH ASSESSMENT REPORT OF THE INTERGOVERNMENTAL PANEL ON CLIMATE CHANGE 33, 40 (Christopher B. Field, et al. eds., 2014).

38 Id. at 40–51.

39 მაგ.: ICCPR, supra note 33, Art. 6; Protocol to the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Art. 1, Mar. 20, 1952, ETS No. 009. 0 მაგ.: ICESCR, supra note 33, Arts. 11–12.

41 მაგ.: Additional Protocol to the American Convention on Human Rights in the Area of Economic, Social and Cultural Rights, Art. 11, Nov. 17, 1988, OASTS No. 69; African Charter on Human and Peoples’ Rights, Art. 24, June 27, 1981, 1520 UNTS 217.

42 Mary Robinson, Social and Legal Aspects of Climate Change, 5 J. HUM. RTS.&ENV’T. 15, 15 (2014).

იყოს მეცნიერული ცოდნით კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მიმდინარე და პროგნოზირებადი გავლენების შესახებ. პირველი და ყველაზე აშკარა გამოხატულება ისაა, რომ სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციისათვის.⁴³ კლიმატის ცვლილების ზოგიერთი შედეგი შეიძლება თავიდან იქნას აცილებული ან შემცირებული. მაგალითად, ეს შეიძლება განხორციელდეს ურბანული განვითარების დაბრკოლებით სანაპირო რეგიონებში, რაზეც მოქმედებს ზღვის დონის ზრდა ან ადრეული გაფრთხილების სისტემები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსახლეობის მონყვლადობის შემცირებას ექსტრემალური ამინდისადმი.⁴⁴ სახელმწიფოს შეუძლია ზოგადად გამოიყენოს საკუთარი ზომები, თუმცა ზოგ სახელმწიფოს შესაძლოა საერთაშორისო ფინანსური ან ტექნიკური დახმარება დასჭირდეს. კლიმატის ცვლილების ეფექტის გავლენა ადამიანის უფლებებით სარგებლობაზე ისაა, რომ სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ადამიანის უფლებები შესაძლოა ინტერპრეტირებული იქნას, როგორც ადაპტაციის ზომების მიღების ვალდებულება ამ გავლენების თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

შესაბამისად, ლაჰორეს უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელმწიფოს „დაგვიანება და ლეთარგია“ ადაპტაციის [ხელშემწყობი] მოქმედების განხორციელებისას უდრის მის მიერ ადამიანის უფლებათა ვალდებულებების დარღვევას.⁴⁵ თუმცა ადაპტაცია არასაკმარისია რომ აღიკვე-

43 იხ.: H.R. Council Res. 41/21, პარაგრ. 2, UN Doc. A/HRC/RES/41/2 (July 23, 2019); CESCR, Statement on Climate Change, supra note 12, პარაგრ. 7; Boyle, Climate Change, the Paris Agreement and Human Rights, supra note 30, at 771; Knox, 2016 Report, supra note 26, პარაგრ. 68; Neubauer, supra note 22, პარაგრ. 157.

44 იხ.: generally Field, და სხვ., supra note 37, at 85–92.

45 Leghari v. Pakistan, პარაგრ. 20 (WP No 25501/2015), Lahore High Court Green Bench, Order (Sept. 4, 2015), available at https://elaw.org/pk_Leghari (Pak.). The

თოს სათბური გაზების გამოყოფის სულ უფრო მავნე შედეგები. როგორც IPCC-მ აღნიშნა, „ადაპტაციის ბიოფიზიკური ლიმიტების“ არსებობა და ფასების მაჩვენებლები და რესურსები ნიშნავს, რომ „შეუძლებელია ადაპტაცია გაუმკლავდეს კლიმატის ცვლილების ყველა შედეგს“.⁴⁶ ადაპტაციის მოქმედებას თან უნდა ახლდეს შემსუბუქების მოქმედებაც.

კლიმატის ცვლილებაზე ჩვენი ცოდნის მეორე გამოხატულება ისაა, რომ ადამიანის უფლებათა აღსრულების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას სათბური გაზების გამოყოფის შესამცირებელი ზომების მიღებით.⁴⁷

ადამიანის უფლებების საბჭოს სპეციალური პროცედურის მანდატის მომხრეების თქმით, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა „მიიღონ შემსუბუქების ისეთი ზომები, რაც საჭიროა გლობალური გამოყოფის იმდენად შესამცირებლად, რომ გლობალური ტემპერატურის ცვლილება დაბალ დონეზე დავიდეს, ვინაიდან ეს ცვლილება იწვევს ფართომასშტაბიან ზიანს ადამიან-

Court referred to a policy framework which also contains some measures on climate change mitigation, but it is with regard to adaptation that the Court found that the state was at fault. იხ.: *id.*, პარაგრაფები 5, 8(ii). იხ.: also Leghari v. Pakistan, PLD 2018 Lahore 364, პარაგრ. 21 (Jan. 25, 2018) (Pak.). For similar reasonings, იხ.: CESCR, Concluding Observations, Sixth Periodic Report of Canada, პარაგრაფები 53–54, UN Doc. E/C.12/CAN/CO/6 (Mar. 4, 2016); CESCR, Concluding Observations, Sixth Periodic Report of Finland, პარაგრ. 9, UN Doc. E/C.12/FIN/CO/6 (Nov. 28, 2014).

46 Field და სხვ., *supra* note 37, at 62. იხ.: Ottmar Edenhofer, და სხვ., Technical Summary, in CLIMATE CHANGE 2014: MITIGATION OF CLIMATE CHANGE: WORKING GROUP III CONTRIBUTION TO THE FIFTH ASSESSMENT REPORT OF THE INTERGOVERNMENTAL PANEL ON CLIMATE CHANGE 33, 50 (Ottmar Edenhofer, et al. eds., 2014).

47 This Article uses GHG emission to refer to net emission, thus considering the enhancement of sinks and reservoirs of GHGs as a form of emission reduction.

ნის უფლებების აღსრულების მხრივ.⁴⁴⁸ იგივე მიზეზი მართა-
ვდა ნიდერლანდების უმაღლეს სასამართლოს „ურგენდაში“
სახელმწიფოთა ვალდებულების ინტერპრეტაციის დროს
სიცოცხლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების
დასაცავად ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის
მიხედვით, რადგანაც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების
ვალდებულებას ითვალისწინებდა.⁴⁹ თუმცა სახელმწიფოს
მოქმედების სარგებელი ადამიანის უფლებებით სარგებლო-
ბისათვის არ არის ისეთი პირდაპირი, მყისიერი და პროგნო-
ზირებადი, როგორც – ადაპტაციის მოქმედების სარგებელი.

ადაპტაციის გზით სახელმწიფოს შეუძლია მიაღწიოს
ეფექტურ ადამიანის უფლებათა სარგებელს თავისი მოსა-
ხლეობისათვის. მაგალითად, ეს შესაძლებელია წინასწარ-
რი გაფრთხილების სისტემათა შექმნით, რაც ხელს უწყობს
ბუნებრივი კატასტროფების დროს უბედური შემთხვევების
შემცირებას⁵⁰ ან სხვადასხვა პოლიტიკის გზით პროდუქტის
წარმოებას უწყობს ხელს, როდესაც კლიმატის ცვლილების
გამო საფრთხე იქმნება.⁵¹

48 An Open Letter from UN Special Procedures Mandate-Holders, A New Climate Change Agreement Must Include Human Rights Protection for All, at 3 (Oct. 17, 2014), available at <https://unfccc.int/resource/docs/2014/smsn/un/176.pdf>.

49 Urgenda (HR), supra note 16

50 Renan Braga Ribeiro, Alexandra Franciscatto Penteado Sampaio, Matheus Souza Ruiz, José Chambel Leitão & Paulo Chambel Leitão, First Approach of a Storm Surge Early Warning System for Santos Region, in CLIMATE CHANGE IN SANTOS BRAZIL: PROJECTIONS, IMPACTS AND ADAPTATION OPTIONS 135 (Lucí Hidalgo Nunes, Roberto Greco & José A. Marengo eds., 2019); Marilyn Aparicio-Effen, Ivar Arana, James Aparicio & Mauricio Ocampo, A Successful Early Warning System for Hydroclimatic Extreme Events: The Case of La Paz City Mega Landslide, in CLIMATE CHANGE ADAPTATION IN LATIN AMERICA 241 (Walter Leal Filho & Leonardo Esteves de Freitas eds., 2018.)

51 Gina Ziervogel and Polly Ericksen, Adapting to Climate Change to Sustain Food Security, 1 WIRES CLIMATE CHANGE 525 (2010). იხ.: generally SUBSIDIARY BODY FOR IMPLEMENTATION, PROGRESS IN THE PROCESS TO FORMULATE AND IM-

ამის საპირისპიროდ, ეროვნული პოლიტიკა, რომლის მიზანია სახელმწიფოში სათბური გაზების გამოყოფის შემცირება, მხოლოდ უმნიშვნელო გავლენას ახდენს სათბური გაზების გამოყოფის გლობალურ მაჩვენებელზე („მოდინება“), და ეს ნელ-ნელა აისახება სათბური გაზების („დაგროვებული“) ატმოსფერულ კონცენტრაციაზე, რაც იწვევს კლიმატის ცვლილებას. ეს ყველაფერი ხდება ისე, რომ ასეთი პოლიტიკა ძალიან ცოტა მიღწევით თუ დაიკვეხნის და თუ რაიმეს მიაღწევს, ეს მოხდება მგრძობიარე ადამიანის უფლებათა სასარგებლოდ სახელმწიფოს მასშტაბით.⁵²

ამრიგად, როცა სახელმწიფოს შეუძლია კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირება საკუთარი ეროვნული პოლიტიკის გატარებით, ეფექტური შემსუბუქებისთვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა, რათა მიღწეული იქნას სათბური გაზების გამოყოფის მნიშვნელოვანი შემცირება გლობალურ დონეზე. ხოლო როცა ადაპტაციის საშუალებით ხელმისაწვდომია ხელშესახები შედეგი მოკლე ან არც ისე ხანგრძლივ ვადაში, შემსუბუქების სრული სარგებელი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ და მხოლოდ ხანგრძლივ ვადებში, როდესაც სათბური გაზების მრავალწლიანი გამოყოფის შემსუბუქება იწყებს შედეგის ჩვენებას და ატმოსფეროში ამ გაზების მოსალოდნელზე დაბალი კონცენტრაცია გვხვდება.

PLEMENT NATIONAL ADAPTATION PLANS, at 12–14, UN Doc. FCCC/SBI/2020/INF.13 (Nov. 20, 2020); Bonizella Biagini, Rosina Bierbaum, Missy Stults, Saliha Dobardzic & Shannon M. McNeeley, A Typology of Adaptation Actions: A Global Look at Climate Adaptation Actions Financed Through the Global Environment Facility, 25 GLOB. ENVTL. CHANGE 97 (2014).

52 ib.: text at note 119 infra.

2. შემსუბუქების ზეგავლენა ადამიანთა უფლებებზე

კლიმატის ცვლილების შემსუბუქებამ შესაძლოა სამი სახის ზეგავლენა მოახდინოს ადამიანის უფლებათა აღსრულებაზე. შემსუბუქების პირველი ეტაპი შეიძლება მოიცავდეს ადამიანის უფლებათა დარღვევებს, მაგალითად მოსახლეობის ძალდატანებით გადასახლებას ჰიდროელექტროსადგურის პროექტის⁵³ ან ბიოსაწვავის წარმოების გამო.⁵⁴ თუმცა, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან თანხვედრაში მოვიდნენ შემსუბუქების ეტაპის განხორციელების დროს და არ გვხვდება გარდაუვალი კონფლიქტი ადამიანის უფლებების დაცვასა და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას შორის.⁵⁵

ადამიანის უფლებათა დარღვევებს შემსუბუქების იმპლემენტაციის პროცესში შესაძლებელია, რომ ხელი შეეშალოს და ეს უნდა მოხდეს კიდევ. გარდა ამისა, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება ზოგჯერ შეიძლება წარმოგვიდგეს, როგორც საერთო ინტერესი, რომელიც აღიარებულია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიერ, როგორც შეზღუდვების გამამართლებელ უფლებათა დაცვა — ეროვნული უშიშროების, საჯარო წესრიგისა და ეკონომიკური განვითარების პარალელურად.

53 იხ.: Philip Martin Fearnside, *Belo Monte: Actors and Arguments in the Struggle Over Brazil's Most Controversial Amazonian Dam*, 148 *DIE ERDE* 14 (2017); ATAPATTU, *supra* note 26, at 135.

54 იხ.: UNEP, *CLIMATE CHANGE AND HUMAN RIGHTS*, at viii (2015); ELIZABETH CUSHION, ADRIAN WHITEMAN & GERHARD DIETERLE, *BIOENERGY DEVELOPMENT: ISSUES AND IMPACTS FOR POVERTY AND NATURAL RESOURCE MANAGEMENT* (2010).

55 იხ.: Paris Agreement, *supra* note 1, pmbI., პარაგრ. 12; Dec. 1/CP.16, პარაგრ. 8, UN Doc. FCCC/CP/2010/7/Add.1 (Mar. 15, 2011) (Cancun Agreements); H.R. Council Res. 41/21, *supra* note 43, pmbI., პარაგრაფები 7–8.

კლიმატის ცვლილების შემსუბუქება შეიძლება მაგალითად იქნას აღებული (საჭიროების, პროპორციულობის და კანონიერების პირობებში) იმ ჰიდროელექტრო პროექტების გასამართლებლად, რასაც ახლავს ექსპროპრიაცია ან, თუნდაც მოსახლეობის გადაადგილება და რომელიც სხვაგვარად შეუთავსებელი იქნებოდა სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებასთან.⁵⁶ აღიარების გარდა, „კლიმატის საგანგებობის“ განმსაზღვრელ ეროვნულ ინსტიტუციათა მხრიდან ბოლო წლებში⁵⁷ აშკარაა გამონაკლისი ზომების საჭიროება, რომლებიც, სავარაუდოდ, შეეხება გამონაკლისებს ადამიანის უფლებების დაცვის საკითხში.⁵⁸ ფაქტობრივად, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება არის უფრო ბუნებრივად შემოფარგლული, როგორც მიზანი, რომელიც ამართლებს შეზღუდვებს და გამონაკლისებს ადამიანის უფლებების საკითხში, ვიდრე – გზა, რომლითაც დაცული უნდა იქნას ინდივიდის უფლებები – თუმცა, საჭიროების შემთხვევაში ერთმა მეორე უნდა გამორიცხოს.⁵⁹

მესამე, და ზოგადად, კლიმატის ცვლილების შემსუბუქება მოიცავს რესურსების მასობრივ გადანაცვლებას, რაც

56 Guiding Principles on Internal Displacement, Princ. 6(2)(c), UN Doc. E/CN.4/1998/53/Add.2 (Feb. 11, 1998); KÄLIN & KÜNZLI, *supra* note 32, at 540.

57 მაგ.: Parliament Resolution on the Climate and Environment Emergency, 2019/2930(RSP) (Nov. 28, 2019) (EU); House of Commons, Journals, 42-1, No. 435, Vote No. 1366 (June 17, 2019) (Can.); (Dec. 2, 2020) 749 NZPD 233-250 (N.Z.); 659 Parl. Deb. HC (6th ser.), col. 225-318 (2019) (UK).

58 იხ.: ICCPR, *supra* note 33, Art. 4; Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, Art. 15, Nov. 4, 1950, 213 UNTS 221, as amended by Protocols 1, 4, 6, 7, 12, 13, and 16 [hereinafter ECHR]. იხ.: also Knox, Climate Change and Human Rights Law, *supra* note 26, at 200; Stephen Humphreys, Introduction: Human Rights and Climate Change, in HUMAN RIGHTS AND CLIMATE CHANGE, *supra* note 26, at 6.

59 Thus, a common justification for human rights limitation is the protection of the rights of others. იხ.: მაგ.: ICCPR, *supra* note 33, Arts. 12(3), 18(3), 19(3)(a), 21, 22(2).

აუცილებლად დაუპირისპირდება ადამიანის უფლებათა დაცვის შესაბამის სხვა პრიორიტეტებს, მაშინაც კი, თუ ეს არ აღიქმება ადამიანის უფლებათა უშუალო შეზღუდვებად.⁶⁰

ზოგჯერ შემსუბუქების ეტაპი შეიძლება შეეხოს ბუნებრივი რესურსების მოხმარების სხვა პოლიტიკას: მაგალითად, შემსუბუქების სტრატეგიები, რომლებიც ძალიან არის დამოკიდებული ბიოსანვავზე ან ნეგატიური გამოყოფის ტექნოლოგიებზე, ზრდის მოთხოვნას მიწასა და წყალზე. გარდა ამისა, პოტენციურ გავლენას ახდენს პროდუქტთან და წყალთან დაკავშირებულ უფლებებზე.⁶¹

შემსუბუქების სხვა სტრატეგიებმა შესაძლოა გამოიწვიონ ენერჯის ფასის მატება⁶² და სიღარიბესთან დაკავშირებული შესაძლო უარყოფითი შედეგები.⁶³

უფრო ზოგადი გაგებით, შემსუბუქების ეტაპი ძვირია⁶⁴ და

60 იხ.: მაგ.: Humphreys, supra note 58, at 2, 22.

61 Pete Smith, და სხვ., Agriculture, Forestry and Other Land Use (AFOLU), in CLIMATE CHANGE 2014: MITIGATION, supra note 46, 811, at 835 (Box 11.5). იხ.: generally Benoit Mayer, Bioenergy with Carbon Capture and Storage: Existing and Emerging Legal Principles, 13 CARBON & CLIMATE L. REV. 113 (2019).

62 Edenhofer, და სხვ., supra note 46, at 63

63 იხ.: Abidah B. Setyowati, Mitigating Energy Poverty: Mobilizing Climate Finance to Manage the Energy Trilemma in Indonesia, 12 SUSTAINABILITY 1603 (2020); Shoibal Chakravarty & Massimo Tavoni, Energy Poverty Alleviation and Climate Change Mitigation, 40 ENERGY ECON. S67 (2013).

64 Emission-reduction measures may at times (but not always) be justified by their direct economic benefits (მაგ.: producing renewable energy may be cheaper than producing energy from fossil fuels) and co-benefits (მაგ.: shutting down coal plants may be justified by public health considerations; investing in clean energy can create jobs). იხ.: Gabriel Blanco, და სხვ., Drivers, Trends and Mitigation, in CLIMATE CHANGE 2014: MITIGATION, supra note 46, at 392; Diana Ürge-Vorsatz, და სხვ., Measuring the Co-benefits of Climate Change Mitigation, 39 ANN. REV. ENV'T & RESOURCES 549 (2014). Urgenda estimates that compliance measures implemented by the Dutch government cost „about €3bn euros“. იხ.: Jonathan Watts, Dutch Officials Reveal Measures to Cut Emissions After Court Ruling, GUARDIAN (Apr. 24, 2020), at <https://www.theguardian.com/world/2020/>

ფინანსურ ინვესტირებას საჭიროებს, რაც მოითხოვს, რომ შესაძლებლობები და მიმდინარე ფასები სხვა პოლიტიკას შეესატყვისებოდეს.⁶⁵

განვითარებული სახელმწიფოები, მაგალითად, ახერხებენ ყოველწლიურად 100 ათასი მილიონი აშშ დოლარის მობილიზებას 2020 წლისთვის კლიმატთან დაკავშირებული საქმიანობის მხარდასაჭერად⁶⁶ და გადანყვეტილი აქვთ, დასახონ უფრო დიდი მიზანი 2020 წლის შემდეგ.⁶⁷ IPCC-ის გათვლით, ყველაზე ძვირადღირებული სცენარების პირობებში, შემსუბუქების ეტაპი 2030 წლისათვის გამოიწვევს გლობალური წარმოების დანაკარგს 1.7%-ის ოდენობით, ხოლო 2100 წლისათვის – 4.8%-ის ოდენობით.⁶⁸ სახელმწიფოს უნარი, ეფექტურად დაიცვას ადამიანის უფლებები, დამოკიდებულია რესურსებზე,⁶⁹ ხოლო ზოგი რესურსი, რომელსაც სახელმწიფოები სათბური გაზების გამოყოფაში ინვესტირებენ, აუცილებლად ამოღებული იქნება სხვა პრიორიტეტებიდან, რაც ადამიანის უფლებათა დაცვას სცილდება. როგორც გადაუდებელი საბიუჯეტო შეზღუდვა, შემსუბუქების ეტაპი უფრო მკაფიოდაა დაკავშირებული სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის მცდელობებთან, როგორცაა უფლება ცხოვრების

[apr/24/dutch-officials-reveal-measures-to-cut-emissions-after-court-ruling.](https://www.reuters.com/article/2019/04/24/dutch-officials-reveal-measures-to-cut-emissions-after-court-ruling/)

65 States have long recognized the conundrum of reconciling climate change mitigation with economic development and poverty eradication, in particular in the context of developing countries. იხ.: UNFCCC, supra note 1, pmb., პარაგრ. 1, Art. 3(1); Paris Agreement, supra note 1, pmb., პარაგრ. 9, Arts. 2(1), 4(1).

66 Dec. 1/CP.16, supra note 55, პარაგრ. 98.

67 Dec. 1/CP.21, supra note 5, პარაგრ. 53; Dec. 14/CMA.1, პარაგრ. 1, UN Doc. FCCC/PA/CMA/2018/3/Add.2 (Mar. 19, 2019).

68 Edenhofer, და სხვ., supra note 46, at 57.

69 იხ.: ICESCR, supra note 33, Art. 2(1); Osman v. United Kingdom, 1998-VIII Eur. Ct. H.R., პარაგრ. 116; KÄLIN & KÜNZLI, supra note 32, at 102–03

ადეკვატურ სტანდარტზე, ჯანმრთელობის უმაღლეს სტანდარტსა ან განათლებაზე;⁷⁰ თუმცა, ეს ყოველივე ასევე გავლენას ახდენს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ეფექტურ დაცვაზე. მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს არ შეუძლია დიდი ინვესტიცია ჩადოს საგზაო უსაფრთხოებაში, დანაშაულის პრევენციასა ან მართლმსაჯულების სისტემაში, როცა ის მასობრივ ინვესტირებას ახორციელებს შემსუბუქების ეტაპზე.⁷¹

არსებული უდავო მტკიცებულებით, გლობალური უტილიტარული გადმოსახედიდან, შემსუბუქების საფასური მართლდება მისივე მოტანილი სარგებლით; კაცობრიობას უკეთ შეუძლია ინვესტირება მკაცრი ზომების მისაღებად სათბური გაზების გამოყოფის შემცირების მიზნით და შემდეგ – იმ მძაფრი გავლენების მთლიანად აღსაკვეთად, რასაც კლიმატის ცვლილება მოახდენს ინდივიდებზე, საზოგადოებებსა და ეკოსისტემებზე მომავალ საუკუნეებში.⁷²

სახელმწიფოები აცნობიერებენ, რომ მათი საერთო ინტერესია, გაატარონ „ეფექტური და პროგრესული საპასუ-

70 იხ.: note 40 supra.

71 There can be no fair trial without a budget to hire and train judges and lawyers. იხ.: Sigrun Skogly, *The Requirement of Using the „Maximum of Available Resources” for Human Rights Realisation: A Question of Quality as Well as Quantity?*, 12 HUM. RTS. L. REV. 393, 394, 397 (2012). On positive human rights obligations as obligations of conduct, იხ.: note 36 supra.

72 იხ.: Marshall Burke, Solomon M. Hsiang & Edward Miguel, *Global Non-linear Effect of Temperature on Economic Production*, 527 NATURE 235 (2015) (suggesting that climate inaction would cost humankind about 23% of global income by 2100). How stringent these measures ought to be, however, is debated. იხ.: WILLIAM D. NORDHAUS, *THE CLIMATE CASINO: RISK, UNCERTAINTY AND ECONOMICS FOR A WARMING WORLD* 205–19 (2013). For a skeptical view on the need for onerous mitigation policies and measures, იხ.: BJORN LOMBORG, *FALSE ALARM: HOW CLIMATE CHANGE PANIC COSTS US TRILLIONS, HURTS THE POOR, AND FAILS TO FIX THE PLANET* (2020).

ხო მოქმედებები კლიმატის ცვლილების სასწრაფო საფრთხის მიმართ”.⁷³ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების საბაბი გამოხატულია გლობალური ათვისების კონტექსტში. მაგალითად შეგვიძლია, დავასახელოთ ეკონომიკური განვითარება, პროდუქტის წარმოება ან ადამიანის უსაფრთხოება.⁷⁴

კონტრასტულია, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მოთხოვნით, ყოველმა სახელმწიფომ უნდა დაიცვას ინდივიდთა უფლებები საკუთარ ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ფარგლებში, ასევე, არ უნდა გააძლიეროს გლობალური ათვისებადობა. ხედვა, რომელსაც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები გვთავაზობს, რათა დავადგინოთ გადაუდებელი, სახელმწიფოს შემსუბუქების დამრგვალებული ფასები — რომელთაც უშუალოდ ინდივიდები გაიღებენ სახელმწიფოს ტერიტორიის ფარგლებში — მაშინ, როდესაც არ შეუძლიათ, სრულყოფილად დაარეგულირონ ასეთი საქმიანობა — გლობალური, დიფუზური, გრძელვადიანი სარგებელი ინდივიდებისათვის, საზოგადოებებისათვისა და ეკოსისტემებისათვის, რომლებიც შემსუბუქების ეტაპს გამართლებას მოუძებნიან უფრო ფართო პოლიტიკური პერსპექტივიდან გამომდინარე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს აკლია იმ სურათის დიდი ნაწილი, რომელსაც შემსუბუქების გამართლებამდე მივყავართ.⁷⁵

73 Paris Agreement, *supra* note 1, *pmb.*, პარაგრ. 5.

74 UNFCCC, *supra* note 1, Arts. 1(1), 2; Paris Agreement, *supra* note 1, Arts. 2(1), 4(1), 7(1); Field, და სხვ., *supra* note 37, at 61; Edenhofer, და სხვ., *supra* note 46, at 40. On the other hand, states have rejected a proposal of framing the objective of the Paris Agreement as the protection of human rights. *იხ.*: Benoit Mayer, Human Rights in the Paris Agreement, 6CLIMATE L. 109, 114–15 (2016). The Preamble to the Paris Agreement mentions human rights, but merely as a constraint on climate action. *იხ.*: Paris Agreement, *supra* note 1, *pmb.*, პარაგრ. 12.

75 *იხ.*: Section III.A *infra*.

ბ. ადამიანის უფლებათა სამართლის სტრატეგიული უპირატესობა

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები არ გვაძლევს მხოლოდ ერთ შესაძარებელ სამართლებრივ საფუძველს იმის მოსათხოვად, რომ კლიმატის ცვლილება შეამსუბუქონ. თითქმის ყოველი სახელმწიფო გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა (UNFCCC) და პარიზის შეთანხმების წევრია. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა გადაწყვიტეს შეაჯერონ წარმატებული NDCs და შესაბამისი ზომები მიიღონ მიზნების მისაღწევად.⁷⁶ როდესაც ზოგადად მოიაზრება, რომ შეჩერებულ NDCs – ებს არ აქვთ დათარიღების ამბიცია,⁷⁷ ისღა გვრჩება, რომ პარიზის შეთანხმების ყველა მხარეს აქვს ზოგადი (თუმცა ძნელად განსასაზღვრი) ვალდებულება UNFCCC-ის მიხედვით. ეს ვალდებულება კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებელი ზომების შემუშავებასა და განხორციელებას გულისხმობს.⁷⁸ შემსუბუქების ეს ზოგადი ვალდებულება უნდა იკითხებოდეს მზარდი მოლოდინების კონტექსტში, რომელიც პარიზის შეთანხმებით მკაფიოდაა გამოხატული. ეს უკანასკნელი ამბობს, რომ თითოეული სახელმწიფო შეაჯერებს

76 Paris Agreement, *supra* note 1, Art. 4(2). იხ.: generally Benoit Mayer, Article 4: Mitigation, in THE PARIS AGREEMENT ON CLIMATE CHANGE 109, 124–28 (Geert van Calster & Leonie Reins eds., 2021); R v. Heathrow Airport [2020] UKSC 52, პარაგრ. 122 (UK).

77 იხ.: note 5 *supra*

158 Application Form, Annex, პარაგრაფები 11–13, Duarte Agostinho v. Portugal, supra note 20, available at <http://climatecasechart.com/non-us-case/youth-for-climate-justice-v-austria-et-al>. იხ.: Paul Clark, Gerry Liston & Ioannis Kalpouzos, Climate Change and the European Court of Human Rights: The Portuguese Youth Case, EJIL: TALK! (Oct. 6, 2020), at <https://www.ejiltalk.org/climate-change-and-the-european-court-of-human-rights-theportuguese-youth-case>; Gerry Liston, Enhancing the Efficacy of Climate Change Litigation: How to Resolve the „Fair Share Question“ in the Context of International Human Rights Law, 9CAMB. INT’L L.J. 241, 250–54 (2020).

159 WEWERINKE-SINGH, supra note 26, at 93–96. იხ.: Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 5.7.6 (referring to DARSIVA, supra note 88, Art. 47).

160 იხ.: André Nollkaemper, Jean d’Aspremont, Christiane Ahlborn, Berenice Boutin

მსგავსად, ზიარი და მრავლობითი პასუხისმგებლობის დოქტრინა (თუკი საერთოდ გამოყენებადი იქნება საერთაშორისო სამართლით) ადგენს სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შედეგებს და არა – მის არსებობას.¹⁶¹ ეს არგუმენტები ხშირად იხრებიან 47-ე მუხლისაკენ სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ, რომელიც გვისახავს სიტუაციას, როდესაც რამდენიმე სახელმწიფოა პასუხისმგებელი ერთი და იმავე საერთაშორისოდ ბრალეული ქმედებისათვის.¹⁶² თუმცა საერთაშორისო სამართლის კომისიამ ნათელი მოჰფინა, რომ 47-ე მუხლი არის ერთადერთი საინტერესო მათგანი იმ სიტუაციაში „სადაც მხოლოდ ქცევის მიმდინარეობა ერთსა და იმავე დროს ატრიატია მრავალი სახელმწიფოსათვის და არის საერთაშორისოდ ბრალეული თითოეული მათგანისათვის“¹⁶³ და რომ მუხლი 47 არ ადგენს გამონაკლისს დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის პრინციპისაგან.¹⁶⁴ კომენტარში აღნიშნულია, რომ თვით ფაქტის ძალით, მუხლი 47 არ გამოიყენება იმ სიტუაციებისათვის, „რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფო ცალკეული საერთაშორისოდ ბრალეული ქმედებით ხელს უწყობს ერთი და იგივე ზიანის გამოწვევას“. მაგალითად, როდესაც „რამდენიმე სახელმწიფო... ხელს უწყობს მდინარის დაბინძურებას დამაბინძურებელთა დაუსჯელობით“¹⁶⁵ ასეთ სიტუაციებში, კომისიის თქმით, „თითოე-

Nataša Nedeski & Ilias Plakokefalos, Guiding Principles on Shared Responsibility in International Law, 31 EUR. J. INT'L L. 15, 24 (Princ. 2, cmt. პარაგრ. 2) (2020).

161 იხ.: Oil Platforms (Iran v. U.S.), Judgment on Merits, 2003 ICJ Rep. 324, პარაგრაფები 73–74 (Nov. 6) (sep. op., Simma, J.) [hereinafter Oil Platforms]; DARSIIWA, supra note 88, Art. 47, cmt. პარაგრ. 3.

162 იხ.; მაგ.: Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 5.7.6; WEWERINKE-SINGH, supra note 26, at 92; Liston, supra note 158, at 251–54.

163 DARSIIWA, supra note 88, Art. 47, cmt. პარაგრ. 3 (emphasis added).

164 Id.

165 Id., პარაგრ. 8. იხ.: Corfu Channel (UK v. Alb.), Judgment, 1949 ICJ Rep. 4, 22–23

ული მონაწილე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა დგინდება ინდივიდუალურად, მისივე ქმედების საფუძველზე და მის საერთაშორისო ვალდებულებებზე მითითებით”¹⁶⁶ ამრიგად, არაფერი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ არ ავრცელებს სახელმწიფოთა ჯგუფზე ვალდებულებას, რომელიც ინდივიდუალურად გამოიყენება თითოეულ მათგანის შემთხვევაში.

3. ამ მიმართებით განპირობებული თანამშრომლობის სხვა ვალდებულებანი

მხოლოდ საერთაშორისო თანამშრომლობით შეიძლება გლობალური სათბური გაზების გამოყოფას შემცირება იმ გზით, რომ სარგებელი ყველამ იხილოს.¹⁶⁷ ამ მიმოხილვას დაუდო სათავე ნოქსმა, თავისი გავლენიანი ანგარიშით ადამიანის უფლებათა საბჭოსათვის, რათა დაედგინა, რომ ყველა სახელმწიფოს აქვთ ვალდებულება ითანამშრომლონ საერთაშორისო საზრუნავის საკითხების კუთხით, როგორც ეს დადგენილია გაეროს წესდების 55-ე მუხლითა და გაეროს კლიმატის ცვლილების შესახებ ჩარჩო კონვენციის პრეამბულით.¹⁶⁸ საერთაშორისო სამართლის ეს ზოგადი თანამშრომლობის ვალდებულება ნოქსის აზრით, „ქმნის ჩარჩოს მიმართვის განხილვისათვის” პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში.¹⁶⁹ თუ სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს სხვა სახელმწიფოთა ინტერე-

(Apr. 9).

166 DARSIIWA, *supra* note 88, Art. 47, cmt. პარაგრ. 8.

167 იხ.: note 1 *supra*.

168 Knox, 2016 Report, *supra* note 26, პარაგრაფები 43–44, citing UN Charter, Arts. 55–56; UNFCCC, *supra* note 1, pmb., პარაგრ. 7. იხ.: also, მაგ.: De Schutter, და სხვ., *supra* note 131, at 1091, 1095–96

169 Knox, 2016 Report, *supra* note 26, პარაგრ. 45.

სები, მაშინ ის აუცილებლად უნდა ესწრაფვოდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას. საუბედუროდ, ამ სხვისადმი მიმართულ¹⁷⁰ თანამშრომლობის ვალდებულებას ნოქსი თვლის ერთ-ერთად „ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ იმ ვალდებულებათაგან, რომლებიც სახელმწიფოებს აქვთ კლიმატის ცვლილებასთან მიმართებაში“.¹⁷¹ ამის საფუძველზე, ნოქსი თვლის, რომ ადამიანის უფლებათა სამართლის მიხედვით, სახელმწიფოებმა „მხოლოდ მიმდინარე გამიზნული მიღწევები კი არ უნდა შეასრულონ, არამედ უნდა გააჯანსაღონ კიდევ ეს მიღწევები, რათა შეასრულონ [ტემპერატურის] სამიზნეები, რომლებიც დადგენილია პარიზის შეთანხმების მე-2 მუხლით“.¹⁷² ჯერჯერობით, სანამ სახელმწიფოებს ცხადად აკისრიათ ვალდებულება ითანამშრომლონ კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე ძირითადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით,¹⁷³ ეს ვალდებულება მზა ფორმით ვერ დახასიათდება, როგორც „ადამიანის უფლებითი ვალდებულება“. გაეროს წესდების 55-ე მუხლში ნახსენებია „პატივისცემა ადამიანის უფლებებისა და დაკვირვება ადამიანის უფლებებზე“¹⁷⁴ როგორც ერთ-ერთი სფეროთაგანი, რომელზეც სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ, მაგრამ იგი მკაფიოდ არ ქმნის თანამშრომლობის ვალდებულებას ადამიანის უფლე-

170 I borrow the phrase from Eyal Benvenisti, *Sovereigns as Trustees of Humanity: On the Accountability of States to Foreign Stakeholders*, 107 AJIL 295 (2013).

171 Knox, 2016 Report, *supra* note 26, პარაგრ. 48

172 *Id.*, პარაგრ. 77

173 *იხ.*; *მაგ.*: UN Charter, Arts. 55–56. Knox’s argument runs parallel to an interpretation of the customary international law obligation of due diligence as requiring states to mitigate climate change. *იხ.*: text at notes 81–85 *supra*. The obligation of states to prevent transboundary environmental harm and their obligation to cooperate come hand in hand when global cumulative environmental harm is concerned.

174 UN Charter, Art. 55(c) (emphasis added). *იხ.*; *მაგ.*: Declaration on the Right to Development, Art. 6(1), GA Res. 41/128 (Dec. 4, 1986).

ბათა დაცვაზე.¹⁷⁵ თუ კლიმატის ცვლილების შემსუბუქება მოექცევა გაეროს წესებით თანამშრომლობის ვალდებულების ფარგლებში, უფრო მოსახერხებელი იქნება 55-ე მუხლის პირველი ორი პუნქტის მიხედვით: როგორც საკითხი, რომელიც მოქმედებს „ცხოვრების სტანდარტებზე... ან ეკონომიკური და სოციალური პროგრესისა და განვითარების პირობებზე“, ან – როგორც წყარო „საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობისა და მსგავსი პრობლემებისა“.¹⁷⁶ საერთოდ, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები არ მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობის ვალდებულებას. ძალიან ცოტა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებაშია ნახსენები „საერთაშორისო დახმარება და თანამშრომლობა“. საერთოდ, ICESCR¹⁷⁷ ხშირად მოითხოვს სახელმწიფოებისაგან, რომ განიხილონ საერთაშორისო დახმარება და თანამშრომლობა, რომელსაც ისინი იღებენ. ეს არ არის გასაგები, თუ ეს ხელშეკრულებები აყალიბებენ ვალდებულებას სახელმწიფოებისათვის, რომ უზრუნველყონ დახმარება და თანამშრომლობა შესაძლებლობის შემთხვევაში.¹⁷⁸ ეს ვალდებულება —რომე-

175 Cf. De Schutter, და სხვ., supra note 131, at 1103–04.

176 UN Charter, Art. 55(a)–(b). იხ.: generally Tobias Stoll, International Economic and Social Co-operation, Article 55 (a) and (b), in THE CHARTER OF THE UNITED NATIONS 1536, პარაგრ. 70 (Bruno Simma, Daniel Erasmus Khan, Georg Nolte, Andreas Paulus & Nikolai Wessendorf eds., 2012).

177 იხ.: ICESCR, supra note 33, Art. 2(1); Convention on the Rights of the Child, supra note 34, Art. 4; Convention on the Rights of Persons with Disabilities, Art. 4(2), Dec. 13, 2006, 2515 UNTS 3.

178 იხ.: CESCR, General Comment No. 3, The Nature of States Parties' Obligations, პარაგრ. 13, UN Doc. E/1991/23 (Dec. 14, 1990); BEN SAUL, DAVID KINLEY & JACQUELINE MOWBRAY, THE INTERNATIONAL COVENANT ON ECONOMIC, SOCIAL AND CULTURAL RIGHTS 139 (2014); Philip Alston & Gerard Quinn, The Nature and Scope of States Parties' Obligations Under the International Covenant on Economic, Social and Cultural Rights, 9HUM. RTS. Q. 156, 191 (1987). On the Convention on the Rights of the Child, იხ.: John Tobin, Art. 4: A State's General Obligation of Implementation, in THE UN CONVENTION ON

ლიც უნდა იქნას ინტერპრეტირებული შესაბამისი სახელმწიფო პრაქტიკის ჩარჩოებში¹⁷⁹— სწორედ რომ არ გულისხმობს სახელმწიფოს სრულ ვალდებულებას, დაიცვას ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები საზღვარგარეთ იმავე გზით, რომლითაც ამას საკუთარ ტერიტორიაზე აკეთებს.¹⁸⁰ ნოქსი თვლის, რომ ანალოგიურად ფართო თანამშრომლობის ვალდებულება შეიძლება მომდინარეობდეს ადამიანის უფლებათა ნებისმიერი ხელშეკრულებიდან მიუხედავად მკაფიოდ განსაზღვრული დებულების არარსებობისა. ნახსენებია ხელშეკრულებების კეთილსინდისიერად შესრულების ვალდებულება და ის, რომ თითოეულმა სახელმწიფომ უნდა იმოქმედოს „ისე, რომ ხელი არ შეუშალოს სხვა სახელმწიფოთა შესაძლებლობას შეასრულონ თავიანთი საკუთრი ვალდებულება“. იგი ასკვნის, რომ სახელმწიფოთა წარუმატებლობა კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე თანამშრომლობის მხრივ „დააბრკოლებს სახელმწიფოებს, შეასრულონ ადამიანის უფლებათა სამართლით განსაზღვრული ვალდებულებები“.¹⁸¹ ნოქსის მიმოხილვა ემყარება უფლებათა დარღვევის დოქტრინას, რომელიც გულისხმობს, რომ სახელმწიფოებმა „თავი უნდა შეიკავონ იმ საქმიანობისგან, რომლებიც არღვევს მიზანსა და ხელყოფს ხელშეკრულების სათანადო შესრუ-

THE RIGHTS OF THE CHILD: A COMMENTARY, 108, 146–47 (John Tobin ed., 2019). On the Convention of Persons with Disabilities, იხ.: Andrea Broderick, Article 4: General Obligations, in THE UN CONVENTION ON THE RIGHTS OF PERSONS WITH DISABILITIES: A COMMENTARY, 106, 133 (Ilias Bantekas, Michael Ashley Stein & Dimitris Anastasiou eds., 2018).

179 VCLT, supra note 144, Art. 31(3)(b).

180 იხ.: note 145 supra. But იხ.: Paul Hunt & Rajat Khosla, Climate Change and the Right to the Highest Attainable Standard of Health, in HUMAN RIGHTS AND CLIMATE CHANGE, supra note 26, at 252.

181 Knox, 2016 Report, supra note 26, პარაგრ. 44 (n. 27). იხ.: VCLT, supra note 144, Art. 26.

ლებას”¹⁸² ეს დოქტრინა ზოგადად შუქდება, როგორც წყარო ვალდებულებისა, არ იმოქმედოს ისე, რომ დაარღვიოს ხელშეკრულების მიზანი. გაუგებარია, ქმნის თუ არა ის ვალდებულებას იმოქმედონ ისე, რომ შესაძლებელი გახდეს ხელშეკრულების მიზნის რეალიზება... განსაკუთრებით, ისეთის, რომელიც დაუსრულებელია და შესაძლოა მოითხოვდეს ვალდებულებას თანამშრომლობაზე, როგორც ასეთი.¹⁸³ გარდა ამისა, სახელმწიფოს წარუმატებლობის პარალელურად კლიმატის ცვლილების შემსუბუქების კუთხით თანამშრომლობა იწვევს ადამიანის უფლებებით სარგებლობას და აბრკოლებს სხვა სახელმწიფოებს მიიღონ სათანადო ზომები ადამიანის უფლებათა დასაცავად.¹⁸⁴ ნებისმიერ შემთხვევაში, სახელმწიფოს წარუმატებლობა კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად თანამშრომლობის მხრივ არ „ითვლება“ სხვა სახელმწიფოების დამაბრკოლებლად იმისთვის, რომ თანხმობაში იყვნენ ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან. სახელმწიფოებს აქვთ ფართო, სხვებთან მიმართული ვალდებულება ითანამშრომლონ ძირითადი საერთაშორისო სამართლის, თუმცა არა – ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიხედვით. თანამშრომლობის ეს ფართო ვალდებულება ვერ იქნება გამოყენებული მოსარჩელეთა მიერ იმავე უპირატეს პირობებში, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულება. უფრო კონკრეტულად, ის ვერ იქნება გამოყენებული

182 MARK E. VILLIGER, COMMENTARY ON THE 1969 VIENNA CONVENTION ON THE LAW OF TREATIES 367 (2008), cited in Knox, 2016 Report, *supra* note 26, პარაგრ. 44 (n. 27) (emphasis added).

183 *ib.*: Appellate Body Report, United States—Import Prohibition of Certain Shrimp and Shrimp Products, პარაგრ. 158, WTO Doc. WT/DS58/AB/R (adopted Nov. 6, 1998); ILC, 16th Sess., 727th Mtg. პარაგრ. 17, UN Doc. A/CN.4/SR.727 (May 20, 1964) (Waldock); ILC, Third Report on the Law of Treaties, by Sir Humphrey Waldock, at 7, UN Doc. A/CN.4/167 (Mar. 3, 1964) (Art. 55(2)).

184 *ib.*: text at note 36 *supra*.

სახელშეკრულებო ორგანოებისა ან რეგიონალური ადამიანის უფლებათა სასამართლოების მიერ. მომდევნო ნაწილში წარმოდგენილია უფრო მჭიდრო და წინასწარგანჭვრეტილი თანამშრომლობის ვალდებულება, რომელშიც შეიძლება ჩაეროს სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ინდივიდთა უფლებები თავის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

ც. ალტერნატიული გადაწყვეტა: თანამშრომლობის შორსმჭვრეტელი ვალდებულება

ადამიანის უფლებების დაცვის ვალდებულება მოითხოვს, რომ გადადგას „საჭირო ნაბიჯები“ ან უფრო ფართო მასშტაბებით მიიღოს „შესაბამისი ზომები“¹⁸⁵ რათა დაიცვას ინდივიდთა უფლებები თავის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მოქმედება კლიმატის ცვლილების შემსუბუქებისთვის თავისთავად, ვერ იქნება განხილული, როგორც საჭირო და შესატყვისი ზომა, რადგან ის გამოიწვევს აბსოლუტურად ნულოვან სარგებელს ინდივიდთა უფლებებისათვის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ.¹⁸⁶ ფაქტობრივად, ასეთი ზომა ძნელად თუ წაადგება ინდივიდთა უფლებებს სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ მათზე და საჯარო რესურსებზე მთავარი დატვირთვის მოთავსებით.¹⁸⁷ ამისგან განსხვავებით, საერთაშორისო თანამშრომლობა შეიძლება იყოს ეფექტური სტრატეგია — და ამიტომ „შესაბამისი ზომა“ ან კიდევ უფრო დასაბუთებულად, „საჭირო ნა-

185 იხ.: notes 33–34 supra.

186 იხ.: text at notes 113–116 supra.

187 იხ.: text at note 120 supra.

ბიჯი“ — სახელმწიფოსათვის, რომ მან დაიცვას ადამიანის, ინდივიდთა უფლებები საკუთარ ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩართვით ან „მცდელობით, რომ გავლენა იქონიოს საერთაშორისო საზოგადოებაზე“, სახელმწიფოს შეუძლია ხელი შეუწყოს იმ გლობალური შემსუბუქების შედეგების რეალიზაციას, რომლებმაც, დროთა განმავლობაში, შესაძლოა მოიტანონ გარკვეული რეალური სარგებელი ინდივიდთა მიერ ადამიანის უფლებათა აღსრულებისთვის მისი იურისდიქციის ქვეშ.¹⁸⁸ ხანდახან ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოები აყალიბებენ ვალდებულებას, რომ დაცული იქნას ადამიანის უფლებები, გამოკვეთენ რა შორსმჭვრეტელი თანამშრომლობის ვალდებულებას. მაგალითად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა მოახდინა ადამიანის უფლებათა დაცვის უფლების რეალიზაცია ბავშვის შემთხვევაში იმის დადგენით, რომ სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ რათა უზრუნველყონ, რომ თითოეულ ბავშვს აქვს ეროვნება¹⁸⁹ და ხელი შეუწყონ ოჯახის ურღვევობას ან აღდგენას.¹⁹⁰ იგივე მიზეზების გამოყენება კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან მხარდაჭერილია კონტექსტით, რომლის ფონზეც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები უნდა იქნას ინტერპრეტირებული — სახელმწიფოები განმეორებით და ემპათიურად აღიარებენ, რომ კლიმატის ცვლილება „ყველა სახელმწიფოს სულ უფრო ფართო თანამშრომლობისაკენ მოუწოდებს“.¹⁹¹ იმის აღიარებით, რომ კლიმატის ცვლილე-

188 Knox, *Climate Change and Human Rights Law*, supra note 26, at 198.

189 H.R. Comm., General Comment No. 17, Article 24 (Rights of the Child), პარაგრ. 8 (Apr. 7, 1989), reproduced in UN Doc. HRI/GEN/1/Rev.1 (July 29, 1994).

190 H.R. Comm., General Comment No. 19, Article 23 (The Family), პარაგრ. 5 (July 27, 1990), reproduced in HRI/GEN/1/Rev.1 (July 29, 1994).

191 მაგ.: UNFCCC, supra note 1, pmbi., პარაგრ. 7; H.R. Council Res. 41/21, supra note 43, pmbi., პარაგრ. 11. იხ.: also, მაგ.: Paris Agreement, supra note 1,

ბა მოქმედებს ადამიანის უფლებათა გამოყენებაზე¹⁹² და ეს თანამშრომლობა კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად უმნიშვნელოვანესია, სახელმწიფოებს განსაზღვრული აქვთ, რომ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების საკითხში თანამშრომლობა შეიძლება შესატყვისი ზომა იყოს ადამიანის უფლებათა დასაცავად. თანამშრომლობის სხვა ვალდებულებების საპირისპიროდ, ძირითადი საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ეს ვალდებულება გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებისაგან და როგორც ასეთი, შეიძლება გამოყენებულ იქნას ამ ხელშეკრულებების ნაწილად. ანალოგიურად, გერმანიის ფედერალურმა კონსტიტუციურმა სასამართლომ მოახდინა კონსტიტუციური დებულების ინტერპრეტაცია სიცოცხლის უფლებაზე და განსაზღვრა, რომ მისი მიხედვით, სახელმწიფო უნდა ეძიებდეს კლიმატის ცვლილების საკითხების საერთაშორისო დონეზე გადაჭრას.¹⁹³

ამ შორსმჭვრეტელი თანამშრომლობის ვალდებულების იდენტიფიკაციის პოტენციური უარყოფა ისაა, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა, ითანამშრომლოს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების საკითხში, არ უზრუნველყოფს, რომ ამ პრინციპს დანარჩენებზე დაიცავენ და რაიმე მოწყვლადი შემსუბუქების შედეგი მიღწეული იქნება. ფაქტობრივად, თანამშრომლობა ნებისმიერი კონკრეტული სახელმწიფოს მხრიდან არ არის არც უშუალოდ საჭირო და არც არსებითი შემსუბუქების შედეგის განსახორციელებლად: სხვა სახელმწიფოთა მიერ გამოვლენილი ძალისხმევა ყოველთვის ამოავსებს ცარიელ ადგილს. ნაცვლად იმისა, რომ დეფიციტური ეროვნული რესურსები „დაიხარჯოს“ საერთაშორისო თანა-

pmbi., პარაგრ. 6; GA Res. 70/1, პარაგრ. 31 (Sept. 25, 2015).

192 მაგ.: H.R. Council Res. 41/21, supra note 43, პარაგრ. 1.

193 იხ.: Neubauer, supra note 22, პარაგრ. 149.

მშრომლობის გასამმაგების ძალისხმევაზე — უარყოფა მიმდინარეობს — სახელმწიფო უფრო დაიცავს ეროვნულ პრიორიტეტებს, რომლებიც გაცილებით ეფექტურია ადამიანის უფლებათა დასაცავად, საშუალებას მისცემს რა სხვა სახელმწიფოებს, მომართონ და განახორციელონ შემსუბუქების ეტაპი, რომლისგანაც ეს სახელმწიფო სარგებელს მიიღებს. ეს უარყოფა განსაზღვრავს, რომ სხვა სახელმწიფოების მიერ შემსუბუქების ზომების თავისუფალი გამოყენება წარმოადგენს სახელმწიფოს საუკეთესო შესაძლო სტრატეგიას, რომ დაიცვას ინდივიდთა უფლებები საკუთარი იურისდიქციის ქვეშ¹⁹⁴ — თუ იგივე მიზეზებს სხვა სახელმწიფოები არ იყენებენ.¹⁹⁵ ეს უარყოფა უნდა იქნას იგნორირებული, რადგან ის ემყარება დაუშვებელ საფუძველს, რომ სახელმწიფოს შეუძლია სსხვა სახელმწიფოები ამოქმედება სცადოს. ვალდებულება რომ კეთილსინდისიერად ინტერპრეტირებული და შესრულებული იქნას, ხელშეკრულებები¹⁹⁶ სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, იმოქმედონ „კეთილსინდისიერი სულისკვეთებით“¹⁹⁷ და თავი „შეიკავონ არასასურველი უპირატესობისაგან“¹⁹⁸. ეს ვალდებულება მოითხოვს, რომ სახელმწიფო

194 On each state's incentive to free ride on the mitigation action of others, *იხ.*; მგ.: Robert Stavins, და სვ., *International Cooperation: Agreements & Instruments*, in *CLIMATE CHANGE 2014: MITIGATION*, *supra* note 46, at 1007. *იხ.*: also references in note 3 *supra*.

195 This objection could perhaps be countered on the basis of game theory: a state's true interest is to act in a way that will persuade others to implement mitigation action, even if this may imply that the state needs to implement at least some level of mitigation action. *იხ.*: generally *id.*, at 1012, noting that the literature has grown substantially but remains largely inconclusive.

196 VCLT, *supra* note 144, Arts. 26, 31(1). *იხ.*: *Nuclear Tests (Austl. v. Fr.)*, 1974 ICJ Rep. 253, პარაგრ. 46 (Dec. 20).

197 Interpretation of the Algerian Declarations of 19 January 1981 (Claims Against U.S. Nationals), 62 ILR 595, 605 (Iran-United States Claims Tribunal 1981).

198 VILLIGER, *supra* note 182, at 425. On the applicability of good faith to the in-

ესწრაფვოდეს შემსუბუქების თავისუფალ შესრულებას, რაც ხორციელდება სხვა სახელმწიფოთა მიერ, რისი მიზანიცაა სარგებლის მიღება საკუთარი მოქმედებისგან მაშინ, როდესაც საფასურში მცირე შენატანის თავიდან აცილებას ცდილობენ.¹⁹⁹ ეს მიზეზები შეთანხმებულია სახელმწიფოს მოწოდებით თანამშრომლობისაკენ²⁰⁰ და სამართლიანობისაკენ²⁰¹ კლიმატის ცვლილებაზე საპასუხოდ, რომ თანხმობაში იყოს სახელშეკრულებო ვალდებულებებთან, დაიცვას ადამიანის უფლება. ამიტომ, ნებისმიერი მოცემული სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს ისე, როგორც მოიაზრებს და უზრუნველყოფდეს, რომ სხვა სახელმწიფოებმა მისდიონ იგივე პერსპექტივასა და ოპტიმალურ დონეს უფლებათა დასაცავად სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ. თანამშრომლობის ეს გამოხატული ვალდებულება არ მოითხოვს იმდენს სახელმწიფოებისაგან, რამდენსაც – სხვა თანამშრომლობის ვალდებულებანი იმ მიმართებით, რაც ზოგადი საერთაშორისო სამართლიდან წარმოიშობა. მეორე მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა საერთოდ გადადონ ეროვნული ინტერესები გვერდზე და შეუერთდნენ საერთაშორისო საზრუნავს გლობალური პარტნიორობის სულისკვეთებით, საკუთარი წვლილის განხორციელებით შემსუბუქების ეტაპზე.²⁰²

terpretation of human rights treaties, იხ.: *Verein gegen Tierfabriken v. Switzerland*, 2009-IV Eur. Ct. H.R. 1, პარაგრ. 87; H.R. Comm., General Comment No. 33, Obligations of States Parties Under the Optional Protocol პარაგრ. 15, UN Doc. CCPR/C/GC/33 (June 25, 2009).

199 POSNER & WEISBACH, *supra* note 3, at 181–83; Evan J. Criddle & Evan Fox-Decent, *Mandatory Multilateralism*, 113 AJIL 272, 320 (2019).

200 იხ.: note 191 *supra*.

201 მაგ.: UNFCCC, *supra* note 1, Art. 3(1); Paris Agreement, *supra* note 1, Art. 2(2).

202 Urgenda (HR), *supra* note 16, პარაგრაფები 5.7.1, 6.3, 6.5. იხ.: generally Rio Declaration on Environment and Development, Princ. 7, UN Doc. A/CONF.151/26/Rev.1 (Vol. I), Annex I (Aug. 12, 1992), reprinted in 31 ILM 874 (1992).

ამრიგად, როდესაც ზოგადი საერთაშორისო სამართლით განპირობებული თანამშრომლობის ვალდებულება გამოიყენება კლიმატის ცვლილებასთან, ნოქსის თქმით, ყოველმა სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას, შედეგების დანახვის საკუთარი ინტერესის გამო.²⁰³ ამისგან განსხვავებით, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებიდან გამომდინარე თანამშრომლობის ვალდებულება სახელმწიფოსაგან მოითხოვს, რომ ითანამშრომლოს მხოლოდ მაშინ და იმდენად, რამდენადაც საერთაშორისო მოქმედება ხელს უწყობს ადამიანის უფლებების დაცვას სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. თუ არგუმენტის გასამყარებლად²⁰⁴ (სახელმწიფო არის სრულად შეუვალი კლიმატის ცვლილების რაიმე გავლენისაგან, ან სხვაგვარად შეუძლია მართოს ყველა ასეთი გავლენები ფასებით-ეფექტური ადაპტაციის ზომებით) ეს სახელმწიფო არ იქნება ვალდებული, რომ კლიმატის ცვლილება შორსმჭვრეტელი ვალდებულების საფუძველზე შეაჩეროს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებით. მიუხედავად ამისა, ის ვალდებული იქნება, ეს გააკეთოს თანამშრომლობის სხვა ვალდებულებებთან საფუძველზე ამ მხრივ, ზოგადი საერთაშორისო სამართლის შესაბამისად. ვინაიდან სახელმწიფოები მრავალი ფორმით არიან შემხებლობაში კლიმატის ცვლილებათა გავლენების

203 Knox, 2016 Report, *supra* note 26, პარაგრ. 46.

204 But *ob.*: Kian Mintz-Woo & Justin Leroux, What Do Climate Change Winners Owe, and to Whom?, *ECON. & PHIL.* (forthcoming) (suggesting the existence of “net winners”—states that benefit from the positive consequences of climate change more than they are affected by its adverse impacts); Norwegian Ministry of Climate and Environment, Norway’s Seventh National Communication Under the Framework Convention on Climate Change, 19 (2018), at <https://unfccc.int/documents/198283> (suggesting that „[t]he Norwegian society is in a good position to adapt to the effects of climate change”).

ნებთან,²⁰⁵ მათი შორსმჭვრეტელი ვალდებულება თანამშრომლობაზე ძლიერ ცვალებადია. ამ შორსმჭვრეტელი ვალდებულების შინაარსი დამოკიდებულია უფლებაზე, რომელთან მიმართებითაც ის გამოიყენება (ე.ი., სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების, ან ცხოვრების უფლებებზე) და კლიმატის ცვლილების შემსუბუქების პროგნოზირებად სარგებელზე ინდივიდთა უფლებების დასაცავად სახელმწიფოს იურისდიქციის ქვეშ.²⁰⁶ თანამშრომლობის ამ შორსმჭვრეტელ ვალდებულებასთან თანხმობისათვის, ნებისმიერი სახელმწიფო მინიმუმ კონსტრუქციულ როლს უნდა ასრულებდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაში საერთაშორისო მოლაპარაკებების დროს და გამოირჩეოდეს ამბიციური შეთანხმებების ხელშეწყობით. თანამშრომლობის შორსმჭვრეტელი ვალდებულება შეიძლება ასევე ინტერპრეტირებული იქნას, როგორც იმის მომთხოვნი, რომ სახელმწიფომ მიზნად დაისახოს სათბური გაზების გამოყოფის შემცირება ან შეზღუდვა საკუთარ ტერიტორიაზე. ამის მიზანი არ უნდა იყოს გლობალური სათბური გაზების გამოყოფის ნომინალური შემცირება, არამედ როგორც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების გლობალური ძალისხმევის შემადგენელია, ანდა მცირედ რეალისტური გზებით მათი შემცირების საშუალებამ, სხვაგვარად ითანამშრომლოს, მაგალითად, ფინანსური ან ტექნიკური მხარდაჭერა განახორციელოს, ანდა გაზების გამოყოფის შესამცირებელი ზომები მიიღოს გლობალურ დონეზე. სათბური გაზებით საქონლისა და სერვისების იმპორტისა და მოხმარებისა რეგულირება, ან თუნდაც სანქციების დაწესება ურჩ სახელმწიფოებზე, შეიძლება ასევე შესაბამისი ზომები აღმოჩ-

205 იხ.: Field, და სხვ., supra note 37, at 75.

206 იხ.: Section IV.C.1 (variable 3) infra.

ნდეს თანამშრომლობის ხელშესაწყობად, რამდენადაც ეს ზომები შეთავსებადი იქნება სხვა საერთაშორისო ვალდებულებებთან.²⁰⁷ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ამ შორსმჭვრეტელი თანამშრომლობის განხორციელებას ხელს უწყობს მრავალი პროცედურა, რაც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს. როდესაც მოსარჩელებს სურთ სახელმწიფოს ვალდებულების გამოხმობა ადამიანის უფლებათა დასაცავად ეროვნული სასამართლოს წინაშე,²⁰⁸ სავარაუდოდ, მათ მიეცემათ შესაძლებლობა, მოუხმონ ამ ვალდებულების გამოხატულებას საერთაშორისო თანამშრომლობის მხრივ. ამის მსგავსად, სახელშეკრულებო ორგანოები იმსჯელებენ ამ გამოხატულ ვალდებულებებთან თანხვედრაზე და მათი შეხედულებები აისახება დასკვნით კომენტარებში ეროვნულ მოხსენებებსა და ძირითად გადაწყვეტილებებში. სახელმწიფოთაშორისი დავების მოგვარების მექანიზმებმა და საკონსულტაციო განხილვებმა ადამიანის უფლებათა რეგიონალურ სასამართლოებსა თუ ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოებში შესაძლოა ამ გამოხატულ ვალდებულებათა იმპლემენტაცია განაპირობოს.

207 იხ.: Michael A. Mehling, Harro van Asselt, Kasturo Das, Susanne Droege & Cleo Verkuijl, *Designing Border Carbon Adjustments for Enhanced Climate Action*, 113 AJIL 433 (2019).

208 იხ.: notes 103–108 *supra*.

III. შემსუბუქების გამოხატულ ვალდებულებათა ინტერპრეტაცია

სტატიაში უკვე აღინიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების მიხედვით, სახელმწიფოებს შორსმჭვრეტელი ვალდებულება აქვთ, რომ ითანამშრომლონ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების თაობაზე. წინამდებარე ნაწილი იკვლევს, თუ როგორ შეიძლება შემსუბუქების ამ გამოხატული ვალდებულების ინტერპრეტაცია. სისტემატური ინტეგრაციის პრინციპის ფონზე, შემსუბუქების ამ ვალდებულების ინტერპრეტატორი ვალდებულია, გაითვალისწინოს სხვა შესაბამისი საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს შემსუბუქების ძირითად ვალდებულებას. ეს კი კლიმატის ხელშეკრულებებიდან²⁰⁹ და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლისგან წარმოიშობა.²¹⁰ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ვალდებულებაზე თანხმობა თავის მხრივ მოითხოვს თანხმობას შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებზე. ეს ნაწილი განსაზღვრავს საერთო მიდგომას, რომლითაც ადამიანის უფლებებზე დამყარებული შემსუბუქების ვალდებულებები შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებთან დასაწყისშივეა შერწყმული. შემდეგ გვიჩვენებს ალტერნატიულ თეორიას, რომლის მიხედვითაც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ხსნის მხოლოდ ზოგიერთ „ფანჯარას“ შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებთან დაკავშირებით. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება მოითხოვს, რომ სახელმწიფო თანხმობაში იყოს შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებთან. არგუმენტირებულია, რომ, ეს უნდა მოხ-

209 იხ.: note 78 supra.

210 იხ.: note 81 supra.

დეს იმდენად, რამდენადაც გამართლებულია ინდივიდთა სახელშეკრულებო უფლებების დაცვა მის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

A. სისტემური ინტეგრაცია

ზოგადად, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაცია მოჰყვება ხელშეკრულების ინტერპრეტაციის პრინციპებს, სულ მცირე, როგორც საწყის წერტილს.²¹¹ ამ განზოგადებულ ნორმებს შორისაა სისტემური ინტეგრაციის პრინციპი, რომელიც გამოხატავს იდეას, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმა უნდა იქნას ინტერპრეტირებული საერთაშორისო სამართლის სხვა ნორმების მიერ შექმნილ კონტექსტში.²¹² ვენის კონვენციის მუხლი 31(3)(c) სახელშეკრულებო სამართლის შესახებ განსაზღვრავს, რომ ნორმა „მიღებულია მხედველობაში“ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას, თუ ეს ნორმა არის (1) „რელევანტური“ და (2) „გამო-

211 იხ.: Malgosia Fitzmaurice, Interpretation of Human Rights Treaties, in THE OXFORD HANDBOOK OF INTERNATIONAL HUMAN RIGHTS LAW 741–42 (Dinah Shelton ed., 2013); RICHARD GARDINER, TREATY INTERPRETATION 478 (2d ed. 2015); DAVID HARRIS, MICHAEL O’BOYLE, ED BATES & CARLA BUCKLEY, LAW OF THE EUROPEAN CONVENTION ON HUMAN RIGHTS 6 (4th ed. 2018). იხ.: also „Mapiripán Massacre” v. Colombia, Merits, Reparations, and Costs, Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 134, პარაგრ. 106 (Sept. 15, 2005); Golder v. United Kingdom, 18 Eur. Ct. H.R. (ser. A), პარაგრ. 29 (1975); Hassan v. U.K., 2014-VI Eur. Ct. H.R. 1, პარაგრ. 100

212 იხ.: Campbell McLachlan, The Principle of Systemic Integration and Article 31(3) (C) of the Vienna Convention, 54 INT’L & COMP. L. Q. 279 (2005); ILC, Conclusions of the Work of the Study Group on the Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, პარაგრ. 4, UN Doc. A/CN.4/L.682/Add.1 (May 2, 2006); ILC, Fragmentation of International Law: Difficulties Arising from the Diversification and Expansion of International Law, პარაგრაფები 410–80, UN Doc. A/CN.4/L.682 (Apr. 13, 2006).

ყენებადი მხარეთა შორის ურთიერთობებისას”.²¹³ რელევანტურობის პირობა გაიგება ფართოდ: მითითებითი ნორმის „საჭიროებას არ აქვს კონკრეტული ურთიერთობა ხელშეკრულებასთან გარდა იმისა, რომ დახმარებას გასწევს მისი პუნქტების ინტერპრეტირებაში”.²¹⁴ ის შეიძლება იქნას მიღებული ნორმის ინტერპრეტაციამდე ან მის შემდგომ.²¹⁵ მაგალითად, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ გაბჩიკოვო-ნაგიმაროსის საქმეზე დაადგინა, რომ პროექტის შემუშავების ხელშეკრულება ინტერპრეტირებული უნდა იქნას გარემოს რისკების შესაბამისი ნორმების ფონზე.²¹⁶ ამრიგად, კლიმატის ხელშეკრულებებიდან ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლიდან წარმოშობილი შემსუბუქების ზოგადი ვალდებულება შესაბამისია იმ ვალდებულებების ინტერპრეტაციისა, რომლებიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებიდან. მეორე პირობა — მითითებითი ნორმის გამოყენებადობა „მხარეებს შორის ურთიერთობებში” — ასევე ხშირად აგებულია ფართოდ, დაუშვებს რა მითითებას ნორმებზე, რომლებიც ხშირად გამოიყენება, ან კავშირი აქვს მხოლოდ ხელშეკრულების შემხებლობაში მყოფ ზოგიერთ მხარესთან. ამ დროს მნიშვნელობა არა

213 VCLT, *supra* note 144, Art. 31(3)(c).

214 VILLIGER, *supra* note 182, at 432. იხ.: GARDINER, *supra* note 211, at 305; ULF LINDERFALK, ON THE INTERPRETATION OF TREATIES: THE MODERN INTERNATIONAL LAW AS EXPRESSED IN THE 1969 VIENNA CONVENTION ON THE LAW OF TREATIES 178 (2007); Certain Questions of Mutual Assistance in Criminal Matters (Djib. v. Fr.), 2008 ICJ Rep. 177, პარაგრ. 113 (June 4).

215 იხ.: Legal Consequences for States of the Continued Presence of South Africa in Namibia (South West Africa) Notwithstanding Security Council Res. 276 (1970), Advisory Opinion, 1971 ICJ Rep. 16, პარაგრ. 53 (June 21); Dispute Regarding Navigational and Related Rights (Costa Rica v. Nicar.), 2009 ICJ Rep. 213, პარაგრ. 70 (July 13).

216 Gabčíkovo-Nagymaros Project (Hung./Slovk.), 1997 ICJ Rep. 7, პარაგრ. 140 (Sept. 25).

აქვს, მითითებითი ნორმა გამოყენებადი იყო თუ არა დავის მხარეებთან, რასთან დაკავშირებითაც მოხდა ინტერპრეტაცია.²¹⁷ ეს ფართო მიდგომა სისტემური ინტეგრაციისადმი გულისხმობს, რომ კლიმატის ხელშეკრულებებით ან ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით წარმოშობილი შემსუბუქების ნებისმიერი ზოგადი ვალდებულება შეიძლება მხედველობაში იქნას მიღებული ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას, როგორც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულების წყარო. ზოგი მეცნიერი ემხრობა უფრო მყარ მიდგომას სისტემური ინტეგრაციისადმი და შეზღუდვებს მისდევნენ მითითებებთან დაკავშირებით იმ ნორმებისადმი, რომლებიც გამოიყენება ამ საკითხზე ხელშეკრულების ყველა მხარესთან.²¹⁸ ეს უფრო მყარი მიდგომა იშვიათად უშლის ხელს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ზოგ ინტერპრეტატორს კლიმატის ხელშეკრულებების გათვალისწინებაში,²¹⁹ თუმცა, ვერ აღკვეთს მითითებებს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალზე. მეორე გზა ისაა, რომ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ზოგი ძირითადი ვალდებულება, კლიმატის ხელშეკრულებებიდან ან სულ მცირე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლიდანაა წარმოშობილი და გვხვდება გამოყენებადი ნორმე-

217 იხ.: GARDINER, *supra* note 211, at 310–17; McLachlan, *supra* note 212, at 315; Proceedings Pursuant to the OSPAR Convention (Ireland/UK), 23 RIAA 119, პარაგრაფები 9–10 (July 2, 2003) (*diss op.*, Griffith).

218 იხ.: Oliver Dörr, Article 31, in VIENNA CONVENTION ON THE LAW OF TREATIES: A COMMENTARY 557, 611 (Oliver Dörr & Kirsten Schmalenbach eds., 2018); LINDERFALK, *supra* note 214, at 178; VILLIGER, *supra* note 182, at 433.

219 For instance, this would exclude references to the UNFCCC when interpreting the Convention on the Rights of the Child because the Holy Sea has ratified the latter but not the former, and the brief withdrawal of the United States from the Paris Agreement would have implied that, for a few months, this treaty could not be used as a referential rule for the interpretation of any human rights treaties to which the United States is a party.

ბის რიცხვში, რომელთაც სასამართლო გაითვალისწინებს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ინტერპრეტირების დროს, როგორც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულების წყაროსი. ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოები და რეგიონალური სასამართლოები იყენებენ სისტემური ინტეგრაციის პრინციპს და ზოგადად, მისდევენ ფართო მიდგომას მის მიმართ.²²⁰ მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ლოიზიდოუს საქმეზე განაცხადა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია „არ უნდა იქნას ინტერპრეტირებული და გამოყენებული ვაკუუმში“; უფრო მეტიც, ინტერპრეტატორმა „მხედველობაში უნდა მიიღოს საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი რელევანტური ნორმა“.²²¹ სასამართლომ იპოვა მტკიცებულება – „საერთო საფუძველი თანამედროვე საზოგადოებებში“ – ცუდად რატიფიცირებული ხელშეკრულებებისა²²² და არასავალდებულო დოკუმენტების საფუძველზე.²²³ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ინტერპრეტირებული იქნა ადამიანის უფლებათა სხვა ხელშეკრულებების ფონზე.²²⁴ იგულისხმება ის ხელშეკრულებები, რომლებიც

-
- 220 იხ.: მაგ.: Adamantia Rachovitsa, *The Principle of Systemic Integration in Human Rights Law*, 66 INT'L & COMP. L. Q. 557 (2017); Birgit Schlütter, *Aspects of Human Rights Interpretation by the UN Treaty Bodies*, in UN HUMAN RIGHTS TREATY BODIES: LAW AND LEGITIMACY 261, 295 (Geir Ulfstein & Helen Keller eds., 2012).
- 221 *Loizidou v. Turkey*, 1996-VI Eur. Ct. H.R., პარაგრ. 43. იხ.: *Al-Adsani v. United Kingdom*, 2001-XI Eur. Ct. H.R. 79, პარაგრ. 55; *Demir v. Turkey*, 2008-V Eur. Ct. H.R. 333, პარაგრ. 85.
- 222 *Demir*, *supra note* 221, პარაგრ. 86; *Marckx v. Belgium*, 31 Eur. Ct. H.R. (ser. A), პარაგრ. 41; *Mazurek v. France*, 2000-II Eur. Ct. H.R. 1, პარაგრ. 49.
- 223 იხ.: *Goodwin v. U.K.*, 2002-VI Eur. Ct. H.R. 1, პარაგრ. 100; *Sørensen v. Denmark*, 2006-I Eur. Ct. H.R. 1, პარაგრ. 74.
- 224 იხ.: *González ("Cotton Field") v. Mexico*, Preliminary Objection, Merits, Reparations, and Costs, Judgment, Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 205, პარაგრ.

საერთაშორისო სამართლის სხვა სფეროსა²²⁵ (გარემოს სა-
მართლის ხელშეკრულებების ჩათვლით)²²⁶ და ჩვეულებით
საერთაშორისო სამართალს მიეკუთვნება.²²⁷ სისტემატური
ინტეგრაციისადმი ინტერესი ძირითადად გამომდინარეობს
იმ ფაქტიდან, რომ ის ხელს უწყობს ადამიანის უფლებათა
ხელშეკრულებების ადაპტაციას (როგორც „ცოცხალ ინსტ-
რუმენტებს“)²²⁸ ცვალებად გარემოებებამდე²²⁹ და მოსამა-
რთლებს ანვდის ხელსაყრელ საყრდენებს იმისთვის, რომ
მოახდინონ ხელშეკრულების ნორმათა ინტერპრეტაცია,
რომლებიც სხვაგვარად „გაუგებარი და ღია-ტექსტურია“.²³⁰
მეორე მხრივ, როგორც ბირგიტ შლუთერმა დაასკვნა, ეს მე-
თოდი ქმნის რისკს, რომ ადამიანის უფლებათა ორგანოები
შესაძლოა „ალუბლის მკრეფავებს დაემსგავსონ იმის და-
დგენისას, რომ საერთაშორისო ნორმები შექმნილია ხელ-
შეკრულების კონკრეტული ინტერპრეტაციის” განსახორციე-

-
- 43 (Nov. 16, 2009); *García Lucero v. Chile*, Preliminary Objection, Merits, and
Reparation, Judgment, Inter-Am. Ct. H.R. (ser. C) No. 267 (Aug. 28, 2013); *Soering*
v. United Kingdom, 11 Eur. H.R. Rep. 439, პარაგრ. 88 (1989); *Hassan v. United*
Kingdom, 2014-VI Eur. Ct. H.R. 1, პარაგრაფები 102–11.
- 225 იხ.: *Hirsi Jamaa v. Italy*, 2012-II Eur. Ct. H.R. 97, პარაგრ. 170; *Sabeh El Leil v.*
France, App. No. 34869/05, პარაგრ. 48 (June 29, 2011), at <http://hudoc.echr.coe.int/eng?i%001-105378> (unreported).
- 226 იხ.: *Demir*, supra note 221, პარაგრაფები 85–86; *Taşkın v. Turkey*, 2004-X Eur.
Ct. H.R. 179, პარაგრაფები 98–99.
- 227 იხ.: *Sabeh El Leil*, supra note 225, პარაგრ. 58.
- 228 იხ.: *Soering*, supra note 224, პარაგრ. 103; *The Right to Information on Consular*
Assistance in the Framework of Guarantees of the Due Process of Law, Advisory
Opinion OC-16/99, Inter-Am. Ct. H.R. (ser. A) No. 16, პარაგრაფები 114–15 (Oct.
1, 1999); H.R. Comm., Views, პარაგრ. 10.3, Commc’n No. 829/1998, *Judge v.*
Canada, UN Doc. CCPR/C/78/D/829/1998 (Aug. 13, 2003).
- 229 PHILIP ALSTON & RYAN GOODMAN, *INTERNATIONAL HUMAN RIGHTS* 117–18
(2d ed. 2012). იხ.: George Letsas, *The ECHR as a Living Instrument: Its Meaning*
and Legitimacy, in *CONSTITUTING EUROPE* 106 (Andreas Føllesdal, Birgit Peters
& Geir Ulfstein eds., 2013).
- 230 ILC, *Conclusions on Fragmentation*, supra note 212, პარაგრ. 20(a).

ლებლად.²³¹ ეს საუკეთესო ფორმაა ინტერპრეტაციისათვის იმისთვის, რომ შემსუბუქების გამოხატული ვალდებულება დაუბრუნდეს სისტემატური ინტეგრაციის დოქტრინას, რათა დადგინდეს ამ ვალდებულებათა ბუნება, ფარგლები და შინაარსი. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა ჩათვალა, რომ სახელმწიფოთა ვალდებულებები „გარემოს საერთაშორისო სამართლით... ავრცელებს ინფორმაციას“ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის (ICCPR) მე-6 მუხლის შინაარსზე სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით.²³² თუმცა, საჭიროა დისტანციის დაჭერა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაციასა (რომელიც ინფორმირებულია და ითვალისწინებს შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებს) და იმას შორის, რაც შემსუბუქების ამ ზოგადი ვალდებულებებისაგან სავსებით განსხვავდება. როგორც ქვევითაა ნაჩვენები, მეცნიერებამ და სასამართლო პრაქტიკამ ვერ ამ განმასხვავებელი ხაზის გავლება ვერ შეძლო.

B. ინკორპორირების თეორიის არასწორი ბუნება

სისტემური ინტეგრაციის პრინციპი ძირითადად აღიქმებოდა, როგორც სახელმწიფოს თანხმობა შემსუბუქების ვალდებულებაზე, რომელიც გამოხატულია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებით. იგი სრულად უნდა ეთანხმებოდეს შემსუბუქების ყველა ვალდებულებას. ინკორპორირების ეს თეორია უფრო წინასწარ მიღებულია, ვიდრე – ყურადღებით

231 Schlütter, supra note 220, at 302.

232 H.R. Comm., General Comment No. 36, supra note 35, პარაგრაფი 62.

დემონსტრირებული. დეტალური განხილვა გვიჩვენებს, რომ ის ხელშეკრულების ინტერპრეტაციის პრინციპებთან შეუთავსებელია.

1. წინასწარ მიღება

ინკორპორირების თეორია გულისხმობს, რომ თუ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება გამოხატავს სახელმწიფოს ვალდებულებას შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება, ეს ვალდებულება მოითხოვს, რომ სახელმწიფო სრულ თანხმობაში იყოს ნებისმიერ ვალდებულებასთან, რომელიც მას აქვს საერთაშორისო სამართლის რომელიმე წყაროთი და რომელიც კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას უკავშირდება. ეს თეორია ძირითადად მატერიალიზებულია სასამართლო პრაქტიკასა და აკადემიურ ლიტერატურაში, როგორც წინასწარი მტკიცება. მას დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებებში, რომლებიც სახელმწიფოს ადამიანის უფლებათა ვალდებულებების ინტერპრეტაციას ახდენს როგორც ვალდებულების წყაროსი, შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება. ამგვარად, ნიდერლანდების უზენაესი სასამართლოს განჩინება „ურგენდასთან“ დაკავშირებით დაეყრდნო ვენის ნორმას სისტემურ ინტეგრაციასა და „საერთო საფუძვლის“ მეთოდს ევროპის ადამიანის უფლებათა სამართალში, რომლის მიხედვითაც ECHR – ს ინტერპრეტაციით „უნდა გაითვალისწინონ ზოგადი სტანდარტები“.²³³ ამ საფუძველზე დაყრდნობით, სასამართლომ განაცხადა, რომ რათა თანხმობაში იყოს თავის ვალდებულებასთან დაიცვას სიცოცხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებები, ნიდერლანდები უნდა ემხრობოდეს ჩვეულებითი სამართლისა და კლიმატის

233 Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 5.4.3.

ხელშეკრულების ვალდებულებებს,²³⁴ — რაც სასამართლოს ანალიზის მიხედვით გულისხმობდა, რომ 2020 წლისათვის სახელმწიფოს სათბური გაზების გამოყოფა 25 პროცენტით უნდა შემცირებინა 1990 წელთან შედარებით.²³⁵ ამგვარად, სასამართლო ფართო მიმდევარია გენერალური პროკურორის მოსაზრებისა, რომელმაც სასამართლოს მოუწოდა, რომ საკუთარი გადაწყვეტილება ჩვეულებით საერთაშორისო სამართალზე²³⁶ „დაემყარებინა.“ ანალოგიურად, კოლუმბიის უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა, თანხმობაში ყოფილიყო თავის საერთაშორისო ვალდებულებასთან, შეეჩერებინა გაუტყვევების პროცესი, რათა შეესრულებინა კონსტიტუციური ვალდებულება სიცოცხლის, საკვებისა და ჭანსალი გარემოს უფლებებითან დაკავშირებით, კლიმატის შემსუბუქების გზით.²³⁷ ამით სასამართლომ განაცხადა, რომ არსებობდა საჭირო პირობა ამ უკანასკნელთან თანხმობისათვის. სახელშეკრულებო ორგანოების პრაქტიკა იგივეს გვეუბნება. მაგალითად, ბავშვის უფლებათა კომიტეტმა რეკომენდაცია გასცა, რომ იაპონიას „შემცირებინა სათბური გაზების გამოყოფა საერთაშორისო ვალდებულებების კვალდაკვალ“,²³⁸ როდესაც CESCRCR – მ ნორვეგიას მოუწოდა „ძალისხმევის ინტენსიფიკაციისაკენ ეროვნულ განვითარებაში თავისი წვლილის [NDC] შესატანად პარიზის შეთანხმების მიხედვით“.²³⁹ ეს რეკომენდაციები შერეული ბუნებისაა — სახელშეკრულებო ორგანოები ვერ ანსხვავებენ იმ მი-

234 Id., პარაგრ. 5.7.5.

235 Id., პარაგრ. 7.3.6.

236 Conclusions of the Procurator General, პარაგრ. 2.74, id., unofficial translation: ECLI:NL:PHR:2019:102 (Oct. 8, 2019).

237 Barragán, supra note 10, პარაგრაფები 6, 14.

238 CRC, Fourth and Fifth Periodic Reports of Japan, supra note 15, პარაგრ. 37(d) (emphasis added).

239 CESCRCR, Sixth Periodic Report of Norway, supra note 15, პარაგრ. 11.

მოხილვებს, რომლებიც სახელმწიფოს იურიდიულ ვალდებულებათა ინტერპრეტაციას ახდენენ იმათგან, რომლებიც უფრო პოლიტიკის რეკომენდაციებს წარმოადგენს²⁴⁰ — მაგრამ, ისინი სწორედ რომ ასახავენ ამ კვაზისასამართლო ორგანოების უპირატეს გაგებას, რომ ადამიანის უფლებათა დაცვა ნიშნავს თანხმობას რომელიმე ან ყველა ნორმასთან კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით და სახელმწიფოს თანხმობაში ყოფნა მის ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან ამართლებს მის თანხმობას შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებზე.

ფაქტობრივად, კვაზისასამართლო ორგანოები ხშირად ახდენენ ინკორპორირების თეორიის იმპლემენტაციას მითითებითი „ნორმების“ გაფართოებულ ინტერპრეტაციასთან ერთად — არასავალდებულო მიზნების ჩათვლით. მაგალითად, CESC-მა ჩათვალა, რომ ბუნებრივი საწვავის მოპოვების პროექტების დადასტურება ეკვადორის „მიღწევების წინააღმდეგაა მიმართული პარიზის შეთანხმებით“;²⁴¹ თუმცა, მიუხედავად ამისა, არც პარიზის შეთანხმება და არც ეკვადორის ეროვნული განვითარების შენატანი (NDC) არ საუბრობს რაიმე მიღწევაზე ბუნებრივი საწვავის მოპოვებასთან დაკავშირებით.²⁴² სხვა შემთხვევაში, CESC-მა გასცა რეკომენდაცია, რომ ნორვეგიამ უფრო ამბიციური მიღწევები

240 იხ.: Geir Ulfstein, Law-Making by Human Rights Treaty Bodies, in INTERNATIONAL LAW-MAKING: ESSAYS IN HONOUR OF JAN KLABBERS 249 (Rain Liivoja & Jarna Petman eds., 2014).

241 CESC, Fourth Periodic Report of Ecuador, supra note 15, პარაგრ. 12. იხ.: CESC, Fourth Periodic Report of Argentina, supra note 15, პარაგრაფები 13–14.

242 იხ.: República del Ecuador, Primera Contribución Determinada a Nivel Nacional para el Acuerdo de París (Mar. 2019). On the absence of commitments, იხ.: generally Michael Lazarus & Harro van Asselt, Fossil Fuel Supply and Climate Policy: Exploring the Road Less Taken, 150 CLIMATIC CHANGE 1 (2018); Natur og Ungdom, supra note 17, პარაგრ. 174.

განახორციელოს კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად, ვიდრე უკვე გაკეთებული აქვს კლიმატის რეჟიმის ფარგლებში.²⁴³ ხუთი სახელშეკრულებო ორგანოს მიერ მომზადებულ ერთობლივ განცხადებაში ნათქვამია, რომ სახელმწიფოებმა „უნდა მიიღონ და განახორციელონ პოლიტიკა“ რომელიც მიზნად ისახავს „პარიზის შეთანხმების მიზნების რეალიზებას“.²⁴⁴ მიუხედავად ამისა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხელშეკრულება არ ქმნის არავითარ ვალდებულებას სახელმწიფოებისათვის შემსუბუქების მიზნების რეალიზების თვალსაზრისით²⁴⁵ მაშინ, როცა ზოგადად, სახელმწიფო პრაქტიკა არ ასახავს ვალდებულების ისეთი შემსუბუქების განხორციელებასთან დაკავშირებით, რაც თავსებადია ამ მიზნებთან.²⁴⁶ ამის მსგავსად, სამართლის მეცნიერებს ხშირად მიაჩნიათ, რომ როცა ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება გამოხატავს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულებას, ის სახელმწიფოებს სთხოვს, რომ მინიმუმ თანხმობაში მაინც იყოს ნებისმიერ სხვა ხელშეკრულებასა ან იმ ჩვეულებით ვალდებულებასთან, რომელიც მათ აქვთ კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე. მაგალითად, ვევერინკე-სინგჰი თვლის, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტატორი შესაძლოა „კლიმატის ცვლილების საერთაშორისო სამართალს დაცვის მინიმალური სტანდარტების შემსრულებლად მიიჩნევდეს და მოითხოვდეს „სახელმწიფოებისაგან, რომ ანგარიშვალდებულება აიღონ იმ სტანდარტებთან შეუსაბამობისათვის, რომლებიც საკუთარ თავს დაუდგინეს ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებ-

243 იხ.: CESCR, Sixth Periodic Report of Norway, supra note 15, პარაგრ. 11.

244 CEDAW, და სხვ., supra note 14, პარაგრ. 2 (emphasis added) (referring to Art. 2(1) of the Paris Agreement).

245 იხ.: note 151 supra.

246 იხ.: note 155 supra.

რივ ჩარჩოებში კლიმატის ცვლილებასთან მიმართებით”.²⁴⁷ ის და ეშლი მაკქოუჩი მიესალმნენ სასამართლოს მიმართვას „ურგენდაში” საერთო საფუძვლის შესახებ, როგორც გარკვეული შეხედულებების ინტერპრეტირების „ელეგანტურ გზას“. ეს შესაძლოა ასოცირებული იქნას ღია ტექსტით ადამიანის უფლებათა ვალდებულებებთან.²⁴⁸ ანალოგიურად, პეტრა მინნეროპი და იდა როსტგარდი თვლიან, რომ თუ შემსუბუქების ვალდებულება შეიძლება გამოსჭვიოდეს ნორვეგიის კონსტიტუციური ვალდებულებიდან ჯანსაღი გარემოს უფლების დაცვის შესახებ და თუ მისი ინტერპრეტაცია შესაძლებელია საერთაშორისო სამართლის ფონზე, ეს ვალდებულება შეიძლება აღვიქვათ, როგორც სახელმწიფოს ზოგადი შემსუბუქების ვალდებულების მომთხოვნი UNFCCC-ს საფუძველზე.²⁴⁹ ბოიდი თვლის, რომ „კლიმატის ცვლილების საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში წარუმატებლობა, ერთი შეხედვით, წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ ვალდებულებების დარღვევას, დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები”.²⁵⁰

სახელშეკრულებო ორგანოების მსგავსად, მეცნიერებს ხშირად მიაჩნიათ, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები შეიძლება უმეტესად ინტერპრეტირებული იქნას,

247 WEWERINKE-SINGH, *supra* note 26, at 132.

248 Margaretha Wewerinke-Singh & Ashleigh McCoach, *The State of the Netherlands v. Urgenda Foundation: Distilling Best Practice and Lessons Learnt for Future Rights-Based Climate Litigation*, REV. EUR. COMP.&INT’L ENVTL. L. (forthcoming) (early view at 5).

249 Petra Minnerop & Ida Røstgaard, *In Search of a Fair Share: Article 112 Norwegian Constitution, International Law and an Emerging Inter-jurisdictional Discourse in Climate Litigation*, 44 *FORDHAM INT’L L.J.* 847 (2021).

250 David R. Boyd (Special Rapporteur on the Issue of Human Rights Obligations Relating to the Enjoyment of a Safe, Clean, Healthy and Sustainable Environment), Report, პარაგრ. 74, in UN Doc. A/74/161 (July 15, 2019).

როგორც უფრო მეტი შემსუბუქების მომთხოვნი, ვიდრე სახელმწიფოები განსაზღვრავენ კლიმატის ცვლილების ხელშეკრულებებითა თუ ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით. პოლ ჰანტი და რაჯათ ხოშლა თვლიან, რომ ჯანმრთელობის უფლების დასაცავად, კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედების ფონზე ამ უფლების გამოყენებასთან დაკავშირებით „სახელმწიფოებს აკისრიათ მთავარი ვალდებულება, რომ გადადგან გონივრული ნაბიჯები ატმოსფეროში სათბური გაზების კონცენტრაციის სტაბილიზაციისათვის იმ დონეზე, რაც ხელს შეუშლის საშიშ ანთროპოგენულ შექრას კლიმატურ სისტემაში“.²⁵¹ ამრიგად, უფრო ახლოს მივალთ UNFCCC – ის „საბოლოო მიზანთან“;²⁵² ვიდრე – რომელიმე კონკრეტულ „ვალდებულებასთან“, რომელსაც მხარეები ეთანხმებიან.²⁵³ ანალოგიურად, ნოქსი თვლის, რომ 1.5°C და 2°C ტემპერატურა, როგორც მიზანი, „თავსებადია სახელმწიფოთა ვალდებულებებთან... დაიცვას ადამიანის უფლებები კლიმატის ცვლილების საშიში გავლენებისაგან“²⁵⁴ – იმასთან ერთად, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ყოველი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ გააუმჯობესოს ეროვნული განვითარების ხელშეწყობა (NDC) ამ ტემპერატურის სამიზნეთა შესაბამისად.²⁵⁵ ნოქსის ანგარიშის კომენტარებისას, ბოილეს აზრით, „გაეროს სპეციალური რეპორტიორი სწორად არგუმენტირებს იმას, რომ ადამიანის უფლებათა სამართალი სახელმწიფოებისაგან მოითხოვს იმ მოლოდინებთან თანხმობას, რომლებიც დადგენილია პარიზის შეთანხმების

251 Hunt & Khosla, supra note 180, at 249.

252 UNFCCC, supra note 1, Art. 2.

253 Id. Arts. 4(1)(b), (2)(a).

254 Knox, 2016 Report, supra note 26, პარაგრ. 73.

255 Id., პარაგრაფები 77, 80.

მიზნებით.²⁵⁶ ბოილე თვლის, რომ „ადამიანის უფლებათა ვალდებულებები უნდა მოითხოვდეს სახელმწიფოებისაგან პარიზის შეთანხმების შესრულებას, ხოლო მათი ჩანაწერი ამის გაკეთებაზე უნდა შეფასდეს გაეროს ადამიანის უფლებათა ორგანოების მიერ“.²⁵⁷ ჯერჯერობით, როგორც თავად ბოილე ასკვნის, „არგუმენტი, რომ პოლიტიკა, რომელიც თანხმობაშია გაეროს კლიმატის რეჟიმთან იმის შესახებ, რომ არასოდეს დაარღვიოს სახელმწიფოთა ადამიანის უფლებათა ვალდებულება, ადვილი შესასრულებელი არ არის“.²⁵⁸ შემდეგ, ბოილე უბრუნდება ნოქსის „უფრო სიღრმისეულ მიდგომას“,²⁵⁹ მაგრამ, არ განმარტავს, თუ როგორ მოახერხა ამ არცთუ ისე იოლი არგუმენტის წამოყენება თავის მოსაზრებაში. ანდრე ნოლკამპერი და ლაურა ბურგერსი სკეპტიკური არიან უზენაესი სასამართლოს ანალიზისადმი „ურგენდას“ საქმეში და ამბობენ, რომ ის ხაზს უსვამს „განსხვავებას სამართალსა და უსამართლობას შორის“²⁶⁰ — გამოყოფის 25 პროცენტით შემცირების მიზნით იმ ყველაფრის შემდეგ, რაც ნახსენებია (ან უფრო გულისხმობს) არასავალდებულო მხარის გადანყვეტილებებში.²⁶¹ თუმცა, ვიდრე ნოლკამპერი და ბურგერი კითხვებს სვამენ იმ გზის შესახებ, რომლითაც „ურგე-

256 Boyle, *Climate Change, the Paris Agreement and Human Rights*, supra note 30, at 777. იხ.: also H.R. Council Res. 41/21, supra note 43, pmbl., პარაგრ. 15.

257 Boyle, *Climate Change, the Paris Agreement and Human Rights*, supra note 30, at 775.

258 Id. at 773. Boyle then turns to Knox’s „more insightful approach”, but does not explain how Knox’s approach could make this uneasy argument.

259 Id.

260 André Nollkaemper & Laura Burgers, *A New Classic in Climate Change Litigation: The Dutch Supreme Court Decision in the Urgenda Case*, EJIL:TALK! (Jan. 6, 2020), at <https://www.ejiltalk.org/a-new-classic-in-climatechange-litigation-the-dutch-supreme-court-decision-in-the-urgenda-case>.

261 იხ.: also Benoit Mayer, *The State of the Netherlands v. Urgenda Foundation*, 8 TRANSNAT’L ENVTL. L. 167, 186–87 (2019).

ნდას” საქმეში ინკორპორირების თეორია განხორციელდა, ისინი თავად თეორიაზე არაფერს ამბობენ. არც ბოილე, არც ნოლკამპერი და არც ბურგერი არ ეწინააღმდეგებიან სასამართლოს შესაძლებლობას, როცა ახდენენ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების ინტერპრეტირებას იმ მხრივ, რომ ის უნდა მოიცავდეს შემსუბუქების ვალდებულებას, რაც სახელმწიფოს სთხოვს, თანხმობაში იყოს მინიმუმ რომელიმე ან ყველა ვალდებულებასთან კლიმატის ცვლილების შემცირების თაობაზე, რაც ნებისმიერი წყაროდან წარმოიშობა.

2. მსჯელობა

ინკორპორირების თეორიის პრობლემა ისაა, რომ იგი ანგრევს სამართლებრივი ინტერპრეტაციის პროცესს. იმის ნაცვლად, რომ ადვილად მიიღოს მხედველობაში შემსუბუქების ზოგადი ვალდებულებები, რათა აზრი მისცეს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებას, ეს თეორია გადახედავს ტექსტს ისევე, როგორც მსჯელობის საგანი – ხელშეკრულების ობიექტსა და მიზანს, შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებზე ფოკუსირებით.²⁶² ამგვარად, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები ტროას ცხენამდელა დაყვანილი, რაც საშუალებას იძლევა, ახალი ნორმები და მიზნები დაუსახოს ადამიანის უფლებათა ინსტიტუციებს. როდესაც ინკორპორირების თეორია მოქმედებს, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები აღარ ემსახურება ადამიანის უფლებების აღსრულების მიზანს, არამედ – მთლიანად გამიზნულია კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე. ხელშეკრულების ინტერპრეტაცია სხვა მრავალ რამესთან ერთად დამოკიდებულია მის ტექსტზე; მისი გამოყენება, თავის მხრივ, მხედველობაში

262 On the risk of the principle of systemic integration leading to a denaturation of legal interpretation, nb.: generally Rachovitsa, supra note 220, at 561, 564, 588.

იღებს შესატყვის, საქმისთვის დამახასიათებელ გარემოებებს. ამიტომ, ნოქსი მიიჩნევს, რომ „სახელმწიფოთა ვალდებულება, განახორციელოს გარემოს ზიანისაგან დაცვა, დამოკიდებულია მათი მოვალეობების შინაარსზე, საფრთხეში მყოფი კონკრეტული უფლებების გათვალისწინებით“.²⁶³ ჯერჯერობით, მსგავსი დასკვნები აუცილებლად კეთდება გამოყენებული ვალდებულებებისგან წარმოშობილი სხვადასხვა ხელშეკრულების მიხედვით, რომლებიც აღიარებენ სხვადასხვა უფლებას მრავალგვარი ეროვნული გარემოების დროს, თუ ვინმე ნოქსის მსგავსად თვლის, რომ „გარემოს დაცვის მოვალეობის აღსრულებისას, რომელიც იჭრება ადამიანის უფლებებით სარგებლობაში,.. სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ და დაეთანხმონ უკვე დამკვიდრებულ, მიღებულ სტანდარტებს“.²⁶⁴ ასეთი დასაბუთება სრულად დამაკმაყოფილებელი ვერ არის. მაგალითად, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება, ცხადია, არ გულისხმობს კონკრეტულად შემსუბუქების იმავე ვალდებულებას, როგორსაც – ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღკვეთის ვალდებულება, ხოლო ეს ვალდებულებები შეიძლება სხვადასხვანაირად იქნას გამოყენებული იმ სახელმწიფოებში, სადაც ამ უფლებებით სარგებლობა მეტ-ნაკლებად ეხება კლიმატის გავლენებს. ეს უკანასკნელი კი შემსუბუქების ეტაპმა უნდა აგვაცილოს თავიდან. ექსტრემალური მაგალითი რომ ავიღოთ, სახელმწიფოს ვალდებულება, დაიცვას ნახშირის მალაროელთა სიცოცხლის შესაბამისი სტანდარტი, ჯეროვნად ვერ მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას, საერთოდ შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება ქვანახშირის მალაროების დასახურად. ესაა ზომა, რომელიც სახელმწიფოს შეუძლია

263 Knox, 2016 Report, supra note 26, პარაგრ. 65.

264 Id., პარაგრ. 67 (emphasis added).

მიიღოს კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად, თუმცა, ქვანახშირის მალაროელებს საარსებო წყაროს წაართმევს.²⁶⁵ ეს შეუსაბამობა მაგალითად, „ურგენდას“ საქმეში, შეიძლება შეფასდეს ჰააგის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების შედარებით უზენაესი სასამართლოს განჩინებასთან. რაიონულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ის ვერ გამოიყენებს ადამიანის ECHR-ს საჯარო ინტერესის სამართალწარმოებაში.²⁶⁶ ამის ნაცვლად, მისი გადაწყვეტილება ეყრდნობა სახელმწიფოს სიფრთხილის ვალდებულებას დანიის დელიქტური სამართლის მიხედვით. ამის საპირისპიროდ, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ ის შეძლებს ECHR-ის საჯარო ინტერესის სამართალწარმოებებში გამოყენებას და ექსკლუზიურად თავის არსებით საფუძველს დაეყრდნო. მიუხედავად ამისა, ორივე სასამართლო ერთსა და იმავე დასკვნამდე მივიდა. უფრო მეტიც, უზენაესს არ განურჩევია, ერთი მხრივ, სიცოცხლის უფლებაზე კლიმატის ცვლილებით ზემოქმედება და მეორე მხრივ, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება და ამტკიცებდა, რომ ორივე უფლების მიხედვით, სახელმწიფოსაგან „იგივე ზომები მიღება“²⁶⁷ ხდება.

265 On another, somewhat extreme example—an association of senior women claiming that Switzerland’s obligation to protect their right to life and to private and family life requires full compliance with general mitigation obligations and more—*ib.*: the reference in note 99 *supra*. The case was dismissed for lack of standing.

266 *Urgenda (Rb)*, *supra* note 10, პარაგრ. 4.45.

267 *Urgenda (HR)*, *supra* note 16, პარაგრ. 5.2.4. The Court cites *Brincat v. Malta*, App. No. 60908/11, პარაგრ. 102 (July 24, 2014), at <http://hudoc.echr.coe.int/eng?i%001-145790> (unreported), which states that the scopes of obligations relating to these two rights „may overlap”, but this does not justify the Supreme Court’s assertion that, in the case at issue, the scopes of these obligation did „largely overlap”. *ib.*: generally *Petra Minnerop*, *Integrating the „Duty of Care” Under the European Convention on Human Rights and the Science and Law of Climate Change: The Decision of The Hague Court of Appeal in the Urgenda Case*,

დანის სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, თანხმობაში იყოს თავის ჩვეულებით ვალდებულებასთან კლიმატის ცვლილების შემსუბუქებასთან დაკავშირებით, რომლის ინტერპრეტაციაც მათ მოახდინეს, როგორც 2020 წლისთვის სათბური გაზების გამოყოფის 25 პროცენტით შემცირების მოთხოვნის ნაწილისა (1990 წელს შედარებით). თუმცა, არ არსებობს მიზეზი დასკვნისათვის, რომ შემსუბუქების ვალდებულება, რომელიც სიცოცხლის უფლების დაცვისაგან გამომდინარეობს, მოითხოვს სიფრთხილის (ზრუნვის) ზუსტად იგივე სტანდარტს, როგორსაც – შემსუბუქების ვალდებულება, რომელიც პირადი და ოჯახური ცხოვრებისაგან გამომდინარეობს.²⁶⁸ ანდა, ეს ორი ვალდებულება, თავის მხრივ, იდენტურია ვალდებულებისა, რომელიც წარმოიშობა დელიქტური სამართლით განპირობებული სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულებისაგან. უფრო მოსალოდნელია, რომ ამ სხვადასხვა ვალდებულებასთან მიმართებით გამოყენებული სიფრთხილის ზომები განსხვავებული იქნება განსაკუთრებით „ინტერესის მნიშვნელობის მიხედვით, რომელიც დაცვას საჭიროებს“.²⁶⁹ სიცოცხლის უფლებაში შეჭრის რისკი არგუმენტირებულად უფრო დამთრგუნველი წარმოსადგენია, ვიდრე – პირად და ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევის რისკი; ხოლო სიფრთხილის ვალდებულება არგუმენტირებულად განაპირობებს შემსუბუქების საჭიროებას, რამდენადაც ის ეხება არა მხოლოდ ადამიანის უფლებებით სარგებლობას, არამედ – ადამიანთა ზოგად კეთილდღეობას. ორი სა-

37 J. ENERGY & NAT. RESOURCES L. 149, 161 (2019).

268 იხ.: Ingrid Leijten, *The Dutch Climate Case Judgment: Human Rights Potential and Constitutional Unease*, LEIDENLAWBLOG (Oct. 22, 2018), at <https://leidenlawblog.nl/articles/the-dutch-climate-case-judgment-humanrights-potential>.

269 Study Group on Due Diligence in International Law, *supra* note 80, at 1082.

სამართლო მივიდა ერთსა და იმავე დასკვნამდე, რადგან, როცა არსებობდა დელიქტური სარჩელი სამართლისა ან ევროპული ადამიანის უფლებათა სამართლის გამოყენებაზე ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის ფონზე,²⁷⁰ ისინი ფაქტობრივად, ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს იყენებდნენ. ინკორპორირების თეორია პრობლემატურია, რადგან ის ნებას აძლევს მოსამართლეებს, გვერდი აუარონ იურისდიქციისა და დასაშვებობის ნორმებს. „ურგენდას“ საქმის დროს, მოსარჩელები მოითხოვდნენ სახელმწიფოს ზრუნვის ვალდებულების მოხმობას და მის ვალდებულებას, დაეცვა ადამიანის უფლებები, თუმცა – არა მისი ვალდებულებებისა, რომელთაც ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი განაპირობებს.²⁷¹ ამის მსგავსად, სახელშეკრულებო ორგანოებსა და ადამიანის უფლებათა რეგიონალურ სასამართლოებს აქვთ იურისდიქცია ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაციაზე, მაგრამ, ეს არ ეხება შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებს, რომლებიც კლიმატის ცვლილების ხელშეკრულებებიდან და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლიდან წარმოიშობა. სისტემური ინტეგრაცია არ ამართლებს სახელმწიფოს თანხმობის არარსებობაზე მოკვლევას მითითებითი ნორმის გამოყენებასთან დაკავშირებით.²⁷² შეკითხვები სისტემური ინტეგრაციის პრინციპის გამოხატულებასთან დაკავშირებით სასამართლოს იურისდიქციაზე არ არის სრულიად ახალი ან კონკრეტული ხასიათის კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად. მოსა-

270 Urgenda (Rb), supra note 10, პარაგრ. 4.43; Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 5.7.1.

271 Urgenda (Rb), supra note 10, პარაგრ. 4.42; Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 1.1.6. იხ.: André Nollkaemper & Laura Burgers, *The State of the Netherlands v. Urgenda* (Neth. Sup. Ct.), 59 ILM 811, 812 (2020).

272 იხ.: *Status of the Eastern Carelia*, Advisory Opinion, 1923 PCIJ (ser. B) No. 5, at 27 (July 23).

მართლე ბურგენტალმა ბრალი დასდო მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს Oil Platforms – ის საქმეში ამ პრინციპის გამოყენებაზე, რომ „მიმართოს ძალის გამოყენების საერთაშორისო სამართალს უბრალოდ იმიტომ, რომ ეს სამართალი შეიძლება იყოს კონფლიქტში მის წინაშე მყოფ მხარეებს შორის და წარმოშოს გარკვეული ფაქტობრივი მიმართება დავისადმი, რომლის გამოსობითაც სასამართლო შეჩერებულია“.²⁷³ სასამართლომ ეს ერთმნიშვნელოვნად არ გააკეთა.²⁷⁴ შესაბამისად, Pulp Mills – ის საქმის განხილვისას, სასამართლომ მკაფიოდ განსაზღვრა, რომ სისტემური ინტეგრაცია არ „მეორდება იურისდიქციის ფარგლებს, რომლებიც სასამართლოს აქვს მინიჭებული“,²⁷⁵ ხოლო რისი მოთხოვნაც არგენტინამ ვერ შეძლო, ზოგადი საერთო სამართლის გამოყენება იყო პრეტენზიის მიღმა, რომელიც გამოაცხადა ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით და რომელზეც სასამართლოს იურისდიქცია ჰქონდა. შესაბამისად, Jadhav – ის საქმის განხილვისას, სასამართლომ დაადგინა, რომ საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის ინტერპრეტირების იურისდიქცია ICCPR-ის გათვალისწინების საშუალებას აძლევდა, თუმცა, თავისთავად, მას ადამიანის უფლებათა დარღვევების სარჩელების დასაკმაყოფილებლად ვერ გამოიყენებდა.²⁷⁶ ამრიგად, სისტემური ინტეგრაციის პრინციპი არ ამართლებს საერთაშორისო სამართლის მონოლითურ გამოყენებას მაშინ, როდესაც სასამართლოს, რომელსაც ხელშეკრულების ინტერპრეტა-

273 Oil Platforms, supra note 161, 2003 ICJ REP. 161, პარაგრ. 29 (sep. op., Buerenthal, J.). იხ.: McLachlan, supra note 212; Rosalyn Higgins, A Babel of Judicial Voices: Ruminations from the Bench, 55 INT'L & COMP. L. Q. 791, 802–03 (2006).

274 Oil Platforms, supra note 161, პარაგრაფები 41–42.

275 Pulp Mills, supra note 81, პარაგრ. 66.

276 Jadhav (India v. Pak.), 2019 ICJ Rep. 418, პარაგრაფები 36–37, 135 (July 17).

ციის იურისდიქცია აქვს, შეუძლია გამოიყენოს საერთაშორისო სამართალთან ნებისმიერ კავშირში მყოფი ნორმა. რიჩარდ გარდინერი ხელშეკრულების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით გვესაუბრება განსხვავებაზე, რომელიც წარმოჩენილია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ ვენის კონვენციის 31(3)(c) მუხლში, „საერთაშორისო სამართლის ნორმებით სარგებლობასა, როგორც ხელშეკრულების ინტერპრეტაციის მექანიზმისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების პირდაპირ გამოყენებას შორის იმ ფაქტებთან, რომლის კონტექსტშიც ხელშეკრულება მოიაზრება“. როგორც გარდინერი ასკვნის, „პირველი იმყოფება ვენის ნორმების ფარგლებში, მეორე კი – არა“.²⁷⁷ მსგავსად ამისა, ალექსანდრე ორახელაშვილი აღნიშნავს, რომ „ინტერპრეტაციის მიზანი შესაბამის ნორმებზე მითითებით არის... არა მათი ფარგლებისა და ეფექტის განსხვავება ამ „შესატყვისი ნორმებისგან“ საინტერპრეტაციო დებულებებში, არამედ პირველი მათგანის შინაარსის გარკვევა მეორესთან დაკავშირებით“.²⁷⁸ საერთაშორისო სასამართლოები და ტრიბუნალები თანმიმდევრულად აღიარებენ, რომ ყოველ ნორმას „განცალკევებული არსებობა“ ახასიათებს მაშინაც კი, როდესაც ზოგიერთ ნორმათა სამიზნე იგივე მიმართულებაა, ან იმავე ფორმითაა გამოხატული.²⁷⁹ ამრიგად, შემსუბუქების ზოგადი ვალდებუ-

277 GARDINER, *supra* note 211, at 320.

278 Alexander Orakhelashvili, *Restrictive Interpretation of Human Rights Treaties in the Recent Jurisprudence of the European Court of Human Rights*, 14 EUR. J. INT'L L. 529, 537 (2003)

279 *Military and Paramilitary Activities in and Against Nicaragua (Nicar. v. U.S.)*, Judgment on Merits, 1986 ICJ Rep. 132, პარაგრ. 178 (June 27); *MOX Plant (Ir. v. UK)*, Order on Provisional Measures of Dec. 3, 2001, ITLOS Rep. 95, პარაგრ. 50. იხ.: *Proceedings Pursuant to the OSPAR Convention (Ir./UK)*, XXIII RIAA 59, პარაგრ. 141 (July 2, 2003); *Inst. Int'l L. Res., Problems Arising from a Succession of Codification Conventions on a Particular Subject*, Sept. 1, 1995, 66(I) Y.B. INST. INT'L L.

ლების გათვალისწინება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ინტერპრეტაციისას არ ამართლებს პირველის ჩართვას მეორეში.

C. ალტერნატიული თეორია: გამოყენების ბზები

1. თეორია

კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულება, რომელიც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, ინტერპრეტირებული უნდა იქნას იმ ხელშეკრულების პირობებზე დაყრდნობით, რომლითაც მისი კონტექსტი და მიზანია განპირობებული.²⁸⁰ მისმა ინტერპრეტატორმა შემსუბუქების ზოგადი ვალდებულება მხედველობაში უნდა მიიღოს ხელშეკრულების კონტექსტთან ერთად, სისტემური ინტეგრაციის პრინციპის ფონზე,²⁸¹ თუმცა – ამ შემსუბუქების ზოგადი ვალდებულებებისაგან განუსხვავებლად. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების პირობები, ასევე მათი მიზნები, ზოგადად, უშვებს საერთაშორისო თანამშრომლობის გათვალისწინების სასარგებლოდ კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე ადამიანის უფლებათა გამოყენებას,²⁸² თუმცა, ეს ხელშეკრულებები არ ინტერესდება კლიმატის ცვლილების შემსუბუქების უფრო ფართო სარგებლით ადამიანის კეთილდღეობისათვისა და თავისთავად, მომავალი თაობების ინტერესებისა და

245, 247 (Conclusion 10).

280 VCLT, *supra* note 144, Art. 31(1).

281 *Id.* Art. 31(3)(c).

282 *ib.*: Section III.C *supra*.

ბუნების დაცვის მხრივ.²⁸³ შემსუბუქების ზოგადი ვალდებულებების საპირისპიროდ, რომლებიც წარმოიშობა კლიმატის ხელშეკრულებებისა ან ჩვეულებითი სამართლისაგან, ამ ფართო სარგებელთაგან მინიმუმ რამდენიმეს მიღება ხდება მხედველობაში. კლიმატის ხელშეკრულებებით²⁸⁴ წარმოშობილი სახელმწიფოს ზოგადი ვალდებულებები ემსახურება საბოლოო მიზანს, რომ ხელი შეუშალოს „საშიშ ანთროპოგენულ ჩარევას კლიმატის სისტემაში“.²⁸⁵ ესაა ფრაზა, რომელიც აღძრავს წარმოდგენას ფასეულობების დაუსრულებელ ჩამონათვალზე, რომელთა შორისაა კლიმატის ხელშეკრულებები, ეხებიან რა მდგრად განვითარებას,²⁸⁶ პროდუქტის უსაფრთხოებას,²⁸⁷ ეკოლოგიურ მთლიანობას,²⁸⁸ და თაობათაშორის თანასწორობას²⁸⁹ სხვა საკითხებთან ერთად.²⁹⁰ მეორე მხრივ, ჩვეულებითი საერთაშორისო სამართალი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა გამოიჩინონ სათანადო ყურადღება, რათა დაიცვან სხვა სახელმწიფოთა უფლებები (ე.ი. უფლება ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციაზე)²⁹¹ საკუთარი მოქალაქეების უფლებების დასაცავად.²⁹² ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მხოლოდ ზოგიერთ სარგებელს ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქე-

283 იხ.: notes 122–124 supra.

284 იხ.: notes 76 and 78 supra.

285 UNFCCC, supra note 1, Art. 2 (emphasis added).

286 Id. Arts. 2, 3(4); Paris Agreement, supra note 1, Art. 2(1).

287 UNFCCC, supra note 1, Art. 2; Paris Agreement, supra note 1, pmb., პარაგრ. 10.

288 UNFCCC, supra note 1, Art. 2; Paris Agreement, supra note 1, pmb., პარაგრ. 14.

289 UNFCCC, supra note 1, pmb., პარაგრ. 24, Art. 3(1).

290 Id., pmb., პარაგრ. 8 (referring to „the pertinent provisions” of the Stockholm Declaration on the Human Environment).

291 მაგ.: Rio Declaration on Environment and Development, supra note 202, Princ. 2.

292 Mavrommatis Palestine Concessions (Greece v. UK), Judgment, 1924 PCIJ (ser. A) No. 2, at 12 (Aug. 30). იხ.: also references at note 81 supra.

ბის თვალსაზრისით, რომელიც ავრცელებს ინფორმაციას შემსუბუქების ზოგადი ვალდებულების შესახებ, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მხოლოდ ნაწილობრივ შემსუბუქებას მოითხოვს, რაც სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ შემსუბუქების ზოგად ვალდებულებათა ფარგლებში. ამ სტატიაში გამოყენებულია მეტაფორა „ფანჯრები,” რათა ჩაითვალოს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ინდივიდთა ადამიანური უფლებები თავის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ, უმეტესად ქმნის მხოლოდ შეზღუდულ შესაძლებლობას, მხედველობაში მიიღოს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ყველა სარგებელი შემსუბუქების ვალდებულებათა აღსრულებისას. შემსუბუქების გამოხატულ ვალდებულებასთან თანხმობაში ყოფნისათვის სახელმწიფო საჭიროებს მხოლოდ თანხმობას შემსუბუქების ვალდებულების ზოგად ნაწილთან, რაც შეიძლება „ფანჯრის” მეშვეობით აღვიქვათ, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებათა მიერ შემსუბუქების ზოგად ვალდებულებათა გახსნის საშუალება. ამ ფანჯრის გამოყენებადობის მასშტაბი წარმოადგენს შემსუბუქების გამოხატულ ვალდებულებათა შინაარსს და, მაგალითად, სათანადო სიფრთხილის სტანდარტის მიხედვით,²⁹³ დაფუძნებულია ხელშეკრულებაზე, უფლებასა

293 The emphasis here is on substantive obligations, but the analysis could be replicated mutatis mutandis to procedural obligations. The size of a window of applicability could determine the scope of a state’s procedural obligations on climate change mitigation compliance with which is required under a human rights treaty—for instance whether and how diligently it needs to envisage climate change mitigation in environmental assessments. On general mitigation obligations of a procedural nature, იხ.: მაგ.: Benoit Mayer, *Climate Assessment as an Emerging Obligation under Customary International Law*, 68 INT’L & COMP. L. Q. 271 (2019).

და ეროვნულ გარემოებებზე.²⁹⁴ უფრო დეტალურად, გამოყენებადობის „ფანჯრები“ დამოკიდებულია შემდეგ ოთხ განსხვავებაზე.

განსხვავება 1: ხელშეკრულების პერსონალური ფარგლები. ზოგიერთი ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებაც იცავს ინდივიდის უფლებებს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ, ხოლო სხვა ხელშეკრულებები იცავს მხოლოდ მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიას.²⁹⁵ ადამიანის ზოგად უფლებათა ხელშეკრულებები ითვალისწინებს უფრო მეტ ამბიციას კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაზე, ვიდრე კონკრეტულ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებზე, რადგან ეს უკანასკნელი ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ყველა სარგებელს უფრო ფართო მოსახლეობისათვის, ვიდრე – უკანასკნელი.²⁹⁶ მაგალითად, სიცოცხლის უფლების დაცვის ვალდებულება ICCPR – ის მიხედვით (როცა ის მიმართულია მთელი მოსახლეობისაკენ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და მისი იურისდიქციის ქვეშ) მოითხოვს შემსუბუქების უფრო ამბიციურ ეტაპს, ვიდრე – იგივე უფლების დაცვის ვალდებულება, რომელიც გათვალისწინებულია კონვენციით მიგრანტი მუშების შესახებ (როცა ის გამოიყენება მხოლოდ იმავე მოსახლეობის ქვეკატეგორიასთან).²⁹⁷

294 იხ.: generally Riccardo Pisillo-Mazzechi, *The Due Diligence Rule and the Nature of the International Responsibility of States*, 35 GER. Y.B. INT'L L. 9, 44 (1992) (noting that „the degree of diligence that the state must observe depends, largely, on the particular circumstances of each specific case“).

295 მაგ.: *Convention on the Rights of the Child*, supra note 34.

296 იხ.: Paul de Guchteneire & Antoine Pécoud, *Introduction: The UN Convention on Migrant Workers' Rights*, in *MIGRATION AND HUMAN RIGHTS* 1, 8 (Ryszard Cholewinski, Paul de Guchteneire & Antoine Pécoud eds., 2009).

297 An exception to this could arise—in application of variables 2 and 3—in circum-

განსხვავება 2: უფლების მიმართებითი მნიშვნელობა.

მიუხედავად უფლებებს შორის ფორმალური იერარქიის არარსებობისა,²⁹⁸ უფრო მეტი წონა აქვს ცალკეული უფლებების, კერძოდ ისეთების, დაცვას, რომლებიც განუყოფელია საგანგებო მდგომარეობის დროსაც (ე.ი., სიცოცხლის უფლება), რადგანაც ეს უფლებები ხშირად ქმნიან საჭირო პირობას სხვა უფლებათა ეფექტური გამოყენებისათვის.²⁹⁹ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ უფრო მაღალი სტანდარტი, როცა მისდევენ უფრო მაღალი ფასეულობის მქონე მიზნებს:³⁰⁰ მათგან მოელიან უფრო მეტი რესურსის ინვესტირებას იმაში, რომ ხელი შეეშალოს სიცოცხლის უფლების ყველა შესაძლო დაბრკოლებას. მაგალითად, ისინი ვალდებული არიან წინ აღუდგნენ ჯანმრთელობის უფლების დაბრკოლებას, მხოლოდ იმიტომ, რომ პირველის გამოყენება საჭირო პირობას წარმოადგენს უკანასკნელის გამოყენებისათვის. ამრიგად, ყოველივე სხვა, რაც მათი თანასწორია, განაპირობებს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიცვას სიცოცხლის უფლება და ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების უდი-

stances where a specific human rights treaty imposes more stringent obligations or broader rights than general treaties. იხ.; მაგ.: Convention on the Rights of the Child, supra note 34, Art. 3(1) (requiring „the best interests of the child” to be taken as „a primary consideration”); Frédéric Mégret, The Disabilities Convention: Human Rights of Persons with Disabilities or Disability Rights?, 30 HUM. RTS. Q. 494 (2008).

298 But იხ.: Teraya Koji, Emerging Hierarchy in International Human Rights and Beyond: From the Perspective of Non-derogable Rights, 12 EUR. J. INT’L L 917 (2001); Tom Farer, The Hierarchy of Human Rights Conference on Human Rights, Public Finance, and the Development Process, 8AM. U. J. INT’L L. & POL’Y 115 (1992).

299 იხ.: H.R. Comm., General Comment No. 36, supra note 35, პარაგრაფები 2, 20; McCann v. United Kingdom, App. No. 19009/04, 47 Eur. H.R. Rep. 40, პარაგრ. 147 (2008); R v. Home Secretary ex p Bugdaycay [1987] 1 All ER 940, 952 (Eng.).

300 იხ.: note 269 supra.

დეს ამბიციას, ვიდრე მის ვალდებულებას ჯანმრთელობის უფლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

განსხვავება 3: კლიმატის ცვლილების შემსუბუქების პოტენციური სარგებელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ უფლების უზრუნველსაყოფად.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები მოითხოვენ სახელმწიფოებისაგან შეამსუბუქონ კლიმატის ცვლილება მხოლოდ და მხოლოდ როგორც გზა იმ უფლებების დასაცავად, რომელთა დაცვაც ევალებათ. კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სარგებელი უფლებით სარგებლობისათვის ეროვნულ გარემოებებზეა დამოკიდებული – მოსახლეობის მიმართებასა და მოწყვლადობას კლიმატის ცვლილების გამო³⁰¹ და კლიმატის ცვლილების შემსუბუქებას ამ ზეგავლენების შემცირება შეუძლია. მაგალითად, შემსუბუქების ვალდებულების შინაარსი, რომელიც შეიძლება იმართებოდეს სახელმწიფოს საკვების უფლების დაცვის ვალდებულებით, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის ახდენს კლიმატის ცვლილება გავლენას პროდუქტის უსაფრთხოებაზე სახელმწიფოში და ასევე იმაზე, თუ როდისაა წარმატებული შემსუბუქების ეტაპი ამ გავლენის აღსაკვეთად. ზოგადად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უფლება მეტად ზარალდება განვითარებად ქვეყნებში,³⁰² სადაც განვითარებული ქვეყნები უფრო კარგავენ ეკონომიკურ სარგებელს³⁰³ და ამას შეიძლება საკუთრე-

301 On the heterogeneity of risks associated with climate change, იხ.: generally Field, და სხვ., supra note 37, at 75–84

302 იხ.: Rajendra K. Pachauri, Leo Meyer & The Core Writing Team, IPCC, CLIMATE CHANGE 2014: SYNTHESIS REPORT, at 15, 16 (2014). იხ.: generally notes 37–38 supra.

303 იხ.: Solomon Hsiang, და სხვ., Estimating Economic Damage from Climate Change in the United States, 356 SCIENCE 1362 (2017); Francisco Estrada, W.J. Wouter Botzen & Richard S.J. Tol, Economic Losses from US Hurricanes Consistent with

ბის უფლებაში ჩარევა ვუნოდოთ. როდესაც აღიარებულია ჯანმრთელ გარემოზე უფლება, შეიძლება ასევე განისაზღვრებოს შედარებით ფართო შემსუბუქების ვალდებულებები, თუმცა, ის მაინც უუნაროა იმ მხრივ, რომ ვერ მოიცავს კლიმატის ცვლილების ყველანაირ ზეგავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე, მომავალ თაობებსა და ეკოლოგიურ რესურსებზე.³⁰⁴

განსხვავება 4: შემსუბუქების შესაძლო დაუგეგმავი შედეგები სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ სახელშეკრულებო უფლებებით სარგებლობისათვის.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულების მიხედვით, სახელმწიფოს ვალდებულება შეიძლება განსაზღვრავდეს შემსუბუქების ეტაპს მხოლოდ იმ მასშტაბით, რომ შემსუბუქების სარგებელი სახელშეკრულებო უფლებებით სარგებლობისათვის აღემატებოდეს მის დაუგეგმავ შედეგებს. ასეთი განხილვა მოუწოდებს სახელმწიფოს იმ შესაძლებლობის გათვალისწინებისაკენ, რომ შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება ინდივიდთა ადამიანური უფლებების დანარჩენ პრიორიტეტებთან შეხების გარეშე მის ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ (ე.ი., ეკონომიკური განვითარების, სიღარიბის აღმოფხვრის, ან კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის).³⁰⁵ როგორც ასეთი, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ვალდებულებებით, განვითარებად სახელმწიფოებს იმდენად შეუძლიათ დაექვემდებარონ კლიმატის ცვლილების შე-

an Influence from Climate Change, 8 NATURE GEOSCIENCE 880 (2015).

304 იხ.: Atapattu, supra note 128, at 265; Natur og Ungdom, supra note 17, პარაგრაფები 78–145. იხ.: also notes 122–124 supra.

305 იხ.: Henry Shue, Subsistence Emissions and Luxury Emissions, 15 L. & POL'Y 39 (1993); David Schlosberg, Further Uses for the Luxury/Subsistence Distinction, 21 BRIT. J. POL. & INT'L REL. 295 (2019).

მსუბუქების უფრო დაბალ სტანდარტს, რამდენადაც მათ არ ექნებათ ინვესტირების უნარი ამბიციურ შემსუბუქების ეტაპზე ამ სხვა პრიორიტეტებისაკენ სწრაფვის ხელყოფის გარეშე.³⁰⁶ ამ განსხვავებების საფუძველზე, გამოყენებადობის (ფანჯრის) თეორია ქმნის საფუძველს შემსუბუქების გამოხატული ვალდებულებათა ინტერპრეტაციისათვის ხელშეკრულების ინტერპრეტაციის პრინციპების პარალელურად. ეს თეორია ასახავს პირობებს ისევე, როგორც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ობიექტსა და მიზანს სახელმწიფოსთვის იმის მოთხოვნით, რომ შეამსუბუქოს კლიმატის ცვლილება იმდენად, რამდენადაც ეს ხელს უწყობს სახელშეკრულებო უფლებების ეფექტურ დაცვას. გარდა ამისა, ეს თეორია ითვალისწინებს გამოყენების კონტექსტს იმის აღიარებით, რომ ყველა უფლებას არ აქვს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ერთი და იგივე გამოხატულება ყველა ქვეყანაში.

2. გამოყენება

ცოტა ილუსტრაცია შეგვიძლია დავიხმაროთ გამოყენებადობის (ფანჯრების) თეორიის შედეგების ასახსნელად მაშინ, როცა მას ინკორპორირების თეორიასთან ვადარებთ. „ურგენდას“ საშუალებით, მაგალითად, გამოყენებადობის (ფანჯრების) თეორიას შესაძლოა დიდი წონა შეჰმატოს იმ ფაქტმა, რომ ნიდერლანდები განსაკუთრებითაა წარმოდგენილი კლიმატის ცვლილებით სიცოცხლეზე საფრთხის ზეგა-

306 Thus, climate treaties recognize the need for differentiation based, in particular, on capacity, as well as the need to ensure that mitigation action does not come at the expense of economic development and poverty eradication. იხ.: UNFCCC, supra note 1, pmb., პარაგრაფები 4, 7, Arts. 3(1)–(2), (4)–(5), 4(7); Paris Agreement, supra note 1, pmb., პარაგრაფები 4, 6, Art. 2(2). იხ.: generally Study Group on Due Diligence in International Law, supra note 80, at 1074–79.

ვლენითა³⁰⁷ და ფართო ფინანსური შესაძლებლობით, მე-3 და მე-4 განსხვავების ფონზე.³⁰⁸ უფრო მეტიც, თუ ნიდერლანდების უზენაესი სასამართლო გამოიყენებდა გამოყენებადობის (ფანჯრების) თეორიას, იგი განასხვავებდა სიცოცხლის უფლების გამოხატულებებს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებისაგან, როგორც ამას მე-2 და მე-3 განსხვავება იყენებს ამ ორ უფლებასთან მიმართებით და სხვადასხვაგვარად. სიცოცხლის უფლების სასამართლოსეული ინტერპრეტაცია, როგორც შორსმიმავალი შემსუბუქების ვალდებულების გამოხატულება, არ არის სრულყოფილად შესაძლებელი, თუ ავიღებთ ფუნდამენტალურ მნიშვნელობას, რომ ECHR დამატებით განაპირობებს ამ უფლებასა და სარგებელს, რასაც საერთაშორისო თანამშრომლობა იჩენს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მხრივ ნიდერლანდების ტერიტორიაზე მისი გამოყენებით. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების სასამართლოსეული იდენტური ინტერპრეტაცია ნაკლებად დამაჯერებელია.³⁰⁹ მთლიანობაში, თუ ნიდერლანდების უზენაესი სასამართლო გამოიყენებდა გამოყენებადობის

307 This is in particular because a large part of the state's territory is situated below sea-level. იხ.: Ministry of Economic Affairs and Climate Policy, Seventh Netherlands National Communication Under the United Nations Framework Convention on Climate Change 125 (2018), available at <https://unfccc.int/sites/default/files/resource/Seventh%20Netherlands%20National%20Communication%20under%20the%20UNFCCC%20update%202018.pdf> (noting life-threatening implications of heat waves and flooding).

308 The Dutch courts took these elements into account, but not expressly as essential conditions to reaching their conclusions. იხ.: in particular Urgenda (HR), supra note 16, პარაგრაფები 5.6.2, 7.3.4.

309 The right to private and family life may admit a broad range of limitations and it can be derogated from in time of emergency. იხ.: ECHR, supra note 58, Arts. 8(2), 15. Moreover, the causal link with climate change is arguably less obvious than it is under the right to life, even considering the European Court of Human Rights' broad interpretation of the right to private and family life as implying a right to a healthy home environment. იხ.: Leijten, supra note 268.

(ფანჯრების) თეორიას, ის ვერ ჩათვლიდა, რომ ამ უფლებათაგან რომელიმეს დაცვის სახელმწიფოსეული ვალდებულება მის სრულ თანხმობას საჭიროებს შემსუბუქების მისსავებოგად ვალდებულებასთან ერთად (ე.ი., ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით).³¹⁰ სიცოცხლის დაცვის, ან პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება იმდენად არ ამართლებს შემსუბუქების ეტაპის, რამდენადაც ზოგადად შემსუბუქების ვალდებულებებს იმ მხრივ, რომ სახელმწიფომ მიიღოს კლიმატის ცვლილების გავლენები უფრო ფართო განხილვის ფონზე. სასამართლო დისკრეციის უჩვეულო ხარისხი, გარდაუვალად მოიცავს შემსუბუქების ზუსტი დონის შეფასებას, რასაც ნიდერლანდები ამ ორი უფლების დასაცავად შესაბამისი ზომების მიღებით გამოხატავს. რა თქმა უნდა, მოსამართლეებმა დაასკვნეს, რომ, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება შემსუბუქების შორსმჭვრეტელ ვალდებულებას გამოხატავს, სახელმწიფო უკვე ამ ვალდებულების შესატყვისად მოქმედებდა.³¹¹ ფაქტობრივად, თუ „საერთო საფუძვლის“ მეთოდი იქნებოდა სერიოზულად მიღებული, მოსალოდნე-

310 იხ.: Urgenda (HR), supra note 16, პარაგრ. 5.7.1.

311 As of 2015, the Netherlands expected to reduce its GHG emissions from 196 MtCO₂eq in 2013 to 181 MtCO₂eq in 2020. იხ.: the Netherlands's Second Biennial Report, supra note 114, at 54. The Netherlands was also participating in efforts to achieve the EU's objective of a 20% emission reduction in the EU's aggregate emissions reduction by 2020, compared with 1990 levels. იხ.: Doha Amendment to the Kyoto Protocol Art. 1(A), Dec. 8, 2012, in Dec. 1/CMP.12, UN Doc. FCCC/KP/CMP/2016/8/Add.1 (entered into force Dec. 31, 2020); Subsidiary Body for Scientific and Technological Advice, Compilation of Economy-Wide Emission Reduction Targets to Be Implemented by Parties Included in Annex I to the Convention, პარაგრაფები 11–13, UN Doc. FCCC/SBSTA/2014/INF.6 (May 9, 2014). The EU projected that it would overachieve this objective with 24% emission reduction by 2020. იხ.: Second Biennial Report of the European Union Under the UN Framework Convention on Climate Change 38 (Dec. 2015), at <https://unfccc.int/documents/198913>.

ლი იქნებოდა, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა უმეტესად საკუთარი ვალდებულების შესაბამისად იმოქმედებდა. ამრიგად, „ურგენდას“ საქმეზე სასამართლომ დაადგინა, რომ ნიდერლანდების უწინდელი პოლიტიკა და მოქმედებები კლიმატის ცვლილების შესამსუბუქებლად იმდენად ამბიციური იყო, რომ შეესაბამებოდა სიცოცხლის დაცვის მის ვალდებულებას. საპირისპიროდ, იმდენად რამდენადაც პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება შეხებაშია, თანხმობის დადგენა გარდაუვალია. როგორც გამოყენებადობის (ფანჯრები) თეორია აღიარებს ეროვნულ პირობებთან შესაბამისობას, გასაკვირია ნებისმიერი ძალისხმევა იმისთვის, რომ „ურგენდას“ ტრანსპლანტაცია განხორციელდეს სხვა ქვეყნების შემთხვევაში. ამ ერთ ერთ პირველ ძალისხმევაში, *Natur og Ungdom*-ის მოსარჩელებმა მარცხი განიცადეს. მათ ვერ წარმოადგინეს მტკიცებულება, რომ კლიმატის ცვლილება შეიძლება მნიშვნელოვნად ზემოქმედებდეს სიცოცხლის ან პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებაზე, ნორვეგიის ტერიტორიასა ან მისი იურისდიქციის ქვეშ.³¹² როგორც ასეთი, ნორვეგიის უზენაესმა სასამართლომ (სულ მცირე მხარეთა წარდგინების საფუძველზე) არ მიიღო მოსარჩელების წარდგინება იმის შესახებ, რომ შემსუბუქების

312 The plaintiffs mentioned physical impacts of climate change on the state's territory (მაგ.: warming), but they did not demonstrate any impact on the enjoyment of the rights at issue. *nb.*: Writ of Summons, Secs. 6-7, Oslo Tingrett [Oslo District Court], 16-166674TVI-OTIR/06, translation available at <http://climatecasechart.com/non-us-case/greenpeace-nordic-assn-and-nature-youth-v-norway-ministry-of-petroleum-and-energy> (Nor.); Notice of Appeal, Sec. 3.2.2, HR-2020-2472-P, Dec. 22, 2020, Case No. 20-051052SIV-HRET, translation available at <http://climatecasechart.com/non-us-case/greenpeace-nordic-assn-and-nature-youth-v-norway-ministry-of-petroleum-and-energy> (Nor.). *nb.*: also note 204 *supra* (on Norway's assertion that it is „in a good position to adapt to the effects of climate change”).

შორსმჭვრეტელი ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს ნორვეგიის ვალდებულებისაგან, რომელიც ამ უფლებების დაცვას ითვალისწინებს.³¹³ ზუსტად ასევე, გამოყენებადობის (ფანჯრის) თეორია სკეპტიკურ წარმოდგენას გვიჩენს მოსარჩელის მონდომებაზე Duarte Agostinho – ს საქმეში, რომ ოცდაცამეტი მაღალი შემოსავლის მქონე ევროსაბჭოს წევრი სახელმწიფო უნდა ავლენდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების საკუთარ ამბიციას, რათა თანხვედრაში იყოს საკუთარ ვალდებულებებთან სიცოცხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებით.³¹⁴ მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი ECHR – ის ინტერპრეტაცია არ არის მხარდაჭერილი სახელმწიფო პრაქტიკით, და არც საერთო საფუძველს ადგენს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს შორის იმ შემთხვევაში, თუ – როგორც მოსარჩელებმა მოითხოვეს – არც ერთი ოცდაცამეტი ვალდებული სახელმწიფო არ ეთანხმება მას. საერთოდ, გამოყენებადობის თეორია მიიჩნევა, რომ ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო ორგანოები შემსუბუქების ხელშეწყობაში არავითარ როლს არ ასრულებდნენ. მეორე მხრივ, არ არსებობს არავითარი უარყოფა იმისა, რომ ადამიანის უფლებათა კომიტეტი და CESCR აღჭურვილნი იქნებოდნენ იმავე სახელმწიფოების ვალდებულების ინტერპრეტირების უნარით იმისთვის, რომ ზოგიერთი უფლება უპირატესად დაეცვათ. ძირითადად, იგულისხმებოდა ICCPR და ICESCR, როგორც ამას არსებითი შემსუბუქების ვალდებულებები მოითხოვს, ხოლო ეს უკანასკნელი გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულებების კონკრეტული ფართო პერსონალური ფარგლებით და შესაძლო სარგებელი კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ამ

313 Natur og Ungdom, supra note 17, პარაგრაფები 168, 171.

314 Application Form, supra note 158, Annex, პარაგრ. 31; Communicated Case, supra note 20.

უფლებებით სარგებლობისათვის მრავალ ქვეყანაშია განსაზღვრული.³¹⁵ მეორე მხრივ, ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, უნარშეზღუდულ პირთა უფლებების კონვენცია და მიგრანტი მუშების კონვენცია ადვილად არ იძლევა ასეთი ინტერპრეტაციების საშუალებას: მათი პერსონალური ფარგლები უფრო შეზღუდულია და (ბავშვის უფლებათა კონვენციის საპირისპიროდ) უფლებები, რომლებსაც ეს ხელშეკრულებები იცავენ, უნიკალურად არ იმყოფება ზემოქმედების ქვეშ კლიმატის ცვლილების შედეგების გამო.³¹⁶ მაგალითად, ამის მიუხედავად, კლიმატის ცვლილებას შეიძლება ჰქონდეს განსხვავებული ზეგავლენა მამაკაცსა და ქალზე,³¹⁷ ხოლო კლიმატის ცვლილების შემსუბუქება არ წარმოადგენს განსაკუთრებით ეფექტურ გზას ქალთა დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.³¹⁸

3. დისკუსია

გამოყენებადობის (ფანჯრის) თეორიას შედეგად მოსდევს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, როგორც კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულების წყაროს, კომპლექსური, შინაარსობრივი ინტერპრეტაცია. მეორე მხრივ, ეს თეორია კატეგორიულად არ გამორიცხავს ადამიანის უფლებათა ვალდებულებების ისეთი ინტერპრე-

315 იხ.: მაგ.: note 12 supra.

316 იხ.: generally notes 13–14 supra.

317 იხ.: Field, და სხვ., supra note 37, at 50.

318 But იხ.: მაგ.: CEDAW, Concluding Observations, Ninth Periodic Report of Guyana, პარაგრ. 41, UN Doc. CEDAW/C/GUY/CO/9 (July 30, 2019) (expressing concern that Guyana’s „continuing and expanding extraction of oil and gas in the State party and the resulting [GHG] emissions could undermine its obligations to women’s empowerment and gender equality, as the resulting environmental degradation and potential natural disasters have a disproportionate impact on women”).

ტაციის შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც ის კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ვალდებულებას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებზე თანხმობა მოითხოვს სახელმწიფოსაგან შემსუბუქების იმ მასშტაბებით განხორციელებას, რომ ეფექტურად შეეწყოს ხელი ადამიანის უფლებათა სახელშეკრულებო უფლებებით სარგებლობას სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ. ეს ინტერპრეტაცია გამოიყენება ადამიანის ზოგად უფლებათა ხელშეკრულებების მიმართ, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა აქვს (როგორცაა სიცოცხლის უფლება). ასევე, სახელმწიფოები, რომელთა მოსახლეობამაც სარგებელი უნდა მიიღოს შემსუბუქების ამოქმედებით მისი დაუგეგმავი შედეგების ზემოქმედების გარეშე. ამ გაგებით, „ურგენტად“ შეიმუშავა შედარებით ძლიერი ქეისი იმისათვის, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებით აღიარებული იქნას შემსუბუქების ვალდებულება სიცოცხლის უფლებასთან მიმართებით. მეორე მხრივ, ეს თეორია ოპონირებას უწევს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებებს, როგორც ტროას ცხენს, კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სამსახურში. ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები არ არის უკანა კარი მოსამართლეებისათვის იმისთვის, რომ სახელმწიფოებზე კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ის ვალდებულებები გაავრცელონ, რომლებიც სახელმწიფოებს არასოდეს მიუღიათ.³¹⁹ ადამიანის უფლებათა ინსტიტუციებს არ შეუძლიათ ატრიბუტებად ტრანსფორმირება სრული თანხმობის მექანიზმისათვის, რომლის შექმნაც სახელმწიფოებს პარიზის შეთანხმებით აქვთ გადაწყვეტილი.³²⁰ ამგვარად, ეს თეორია უპირისპირდება ნებისმიერ იმ ვარაუდს,

319 Contra, მაგ.: WEWERINKE-SINGH, supra note 26, at 132; Knox, 2016 Report, supra note 26, პარაგრ. 77; Hunt & Khosla, supra note 180, at 249.

320 იხ.: note 87 supra. Contra, მაგ.: WEWERINKE-SINGH, supra note 26, at 133; Boyle, Climate Change, the Paris Agreement and Human Rights, supra note 30, at 775.

რომ ადამიანის უფლებათა სამართალი „შეიძლება აკმაყოფილებდეს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების უფრო მაღალ სტანდარტებს,” ვიდრე – ზოგადად, შემსუბუქების ვალდებულებები.³²¹ გამოყენებადობის ფანჯრები შედარებით ყოველთვის ვიწროა, რადგან კლიმატის ცვლილების ბევრი შედეგი, რომელთა თავიდან აცილებასაც შემსუბუქების ზოგადი ვალდებულება ესწრაფვის, ვერ იქნება შეფასებული ადამიანის უფლებებზე ზეგავლენად. კლიმატის ცვლილების შედეგები არგუმენტირებულად იმდენად მძაფრია, რომ თვით გამოყენებადობის ვიწრო ფანჯარაც კი სავარაუდოდ საშუალებას მისცემს მოსამართლეს, სერიოზული ზრუნვა წამოიწყოს ადამიანის უფლებათა დასაცავად და შედარებით შორსმჭვრეტელი შემსუბუქების ვალდებულებები გამოიყენოს – თუმცა, ეს არგუმენტი არ არის არც აშკარა, არც იოლად შესაქმნელი და მხოლოდ ძალიან სპეციფიკურ ეროვნულ პირობებში გამოიყენება წარმატებით. ეჭვგარეშეა, რომ გამოყენებადობის (ფანჯრების) თეორია შესასრულებლად განსაკუთრებით ძნელია. რა თქმა უნდა, მოსამართლე სრულად ვერ დაეყრდნობა ნებისმიერ უარყოფელ მეთოდს იმისთვის, რომ შეაფასოს და აწონ-დაწონოს ოთხი განმასხვავებელი, რომლებიც გამოყენებადობის ფანჯრის მასშტაბების შესაბამისია. უფრო მეტიც, არ არსებობს ზოგადად მიღებული ან უარყოფილი საშუალება, რომ გაიზომოს ან შედარდეს სახელმწიფოს მოწყვლადობა

321 Boyle, Human Rights and the Environment: Where Next?, supra note 113, at 613. *nb.*: notes 251–256 supra. There may be circumstances where an implied mitigation obligation is more demanding than a specific commitment (მაგ.: the obligation to pursue the implementation of an NDC, under Art. 4(2) of the Paris Agreement, in relation to an NDC that fails to reflect the state’s highest possible ambition). However, an implied mitigation obligation cannot be as far-reaching as the general commitment under Art. 4(1)(b) of the UNFCCC and the general obligation of due diligence under customary international law, as these general obligations reflect a broader rationale for climate change mitigation.

კლიმატის ცვლილების გამო.³²² არსებობს მხოლოდ კლიმატის ცვლილების შემსუბუქების სარგებელი უფლების დასაცავად. დანამდვილებით, კანონის ინტერპრეტირების სირთულე არ ათავისუფლებს მოსამართლეს მართლმსაჯულების აღსრულების ვალდებულებისაგან.³²³ ეს სირთულე არ იწვევს განსხვავების გაძლიერებას, რომელსაც მოსამართლეები პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში გამოხატავენ.³²⁴ ამის საპირისპიროდ, შესაძლოა მივიჩნიოთ, რომ ფუნდამენტურ უფლებებზე ფართომასშტაბიან გავლენათა რისკი უფრო ამართლებს სასამართლოს მსჯელობას. ამას სახელმწიფო ზუსტად ასრულებს იმისთვის, რომ თანხმობაში იყოს თავისსავე დადგენილ ვალდებულებასთან, კლიმატის ცვლილების შემსუბუქების კუთხით ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა კონკრეტული ხელშეკრულების საფუძველზე და კონკრეტულ უფლებასთან მიმართებით, ან – იმასთან დაკავშირებით, რაც ზუსტად უნდა გააკეთოს საკუთარ ზოგად ვალდებულებებთან თანხმობაში ყოფნისთვის კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლის მიხედვით. არ არსებობს შეკითხვები, რომელთაც პასუხი მათემატიკური სიზუსტით უნდა გაცეს, თუმცა ისინი მაინც მართლმსაჯულების საკითხები იქნება.

322 იხ.: James D. Ford, Lea Berrang-Ford, Alex Lesnikowski, Magda Barrera & S. Jody Heymann, How to Track Adaptation to Climate Change: A Typology of Approaches for National – level Application, 18 *ECOLOGY & SOC’Y* 40 (2013).

323 იხ.: HERSCH LAUTERPACHT, *The FUNCTION OF LAW IN THE INTERNATIONAL COMMUNITY* 3 (1933); Misdzi Yikh, *supra* note 22, პარაგრ. 56.

324 But იხ.: Neubauer, *supra* note 22, პარაგრ. 152 (suggesting that the Court would find a violation of the state’s obligation to protect human rights only if the state has taken no measure at all, if the measures it has taken are obviously unsuitable, or if these measures fall significantly short of the requisite level of mitigation action).

დასკვნა

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები შესაძლებელია ინტერპრეტირებული იქნას როგორც სახელმწიფოსაგან კლიმატის ცვლილების შემსუბუქების მხრივ, ისე კეთილსინდისიერი თანამშრომლობის მოთხოვნით იმ მასშტაბით, რომ საკუთარ ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ ინდივიდთა უფლებები დაიცვას. ეს შემსუბუქების ვალდებულება საშუალებას აძლევს ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ანალიტიკოსს, რომ გზა გაუხსნას შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებს, რომლებიც კლიმატის ხელშეკრულებებითა და ჩვეულებითი საერთაშორისო სამართლით წარმოიშობა.

ეს გზა ჯერჯერობით ვიწროა: ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები სრულად არ ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების შემსუბუქების ფართო სარგებელს ადამიანთა კეთილდღეობაზე, მომავალი თაობების ინტერესებსა და ბუნების დაცვაზე, ამიტომ ისინი არ საჭიროებენ შემსუბუქების ზოგად ვალდებულებებთან სრულ თანხმობას. გამოყენებადობის ფანჯრის მასშტაბი — ანუ, დონე, რა დონეზეც ადამიანის უფლებათა ხელშეკრულება სახელმწიფოს სთხოვს, რომ თანხმობაში იყოს შემსუბუქების საკუთარ, ზოგად ვალდებულებებთან — დამოკიდებულია ხელშეკრულების პერსონალურ ფარგლებსა და განსახილველი უფლების მნიშვნელობაზე, ისევე როგორც უფლებით სარგებლობაზე, კლიმატის ცვლილების შემსუბუქების პოტენციურ ბენეფიტებსა და მის სავარაუდო შედეგებზე რასაც უფლებებით სარგებლობა იწვევს სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან მისი იურისდიქციის ქვეშ.

ამგვარად, წინამდებარე ანალიზში მიჩნეულია, რომ ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები გაცილებით მცირე

როლს თამაშობს კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაში.³²⁵ ფაქტობრივად, ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების, როგორც შემსუბუქების ვალდებულების წყაროს, ინტერპრეტაცია, რამდენიმე მთავარ სირთულეს აწყდება, რაც საერთაშორისო თანამშრომლობას ხელს უშლის კლიმატის ცვლილების შემსუბუქებაში უკანასკნელი ოცდაათი წლის მანძილზე.

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, უპირველესად, განიხილავს ბუნებას, როგორც საშუალებას და მომავალი თაობების ინტერესებს ფართოდ უგულვებელყოფს.

მთლიანობაში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი ყოველ სახელმწიფოს მოუწოდებს, უფრო მეტად ინდივიდთა უფლებები დაიცვას საკუთარ ტერიტორიაზე, ვიდრე გლობალურ საერთო კეთილდღეობასთან დაკავშირებით ითანამშრომლონ. ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ეს უსასრულო პაექრობა ვერ მოგვარდება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფიქსირებული გაფართოებით, ვერც ახალი უფლებების აღიარებით (ე.ი. ჯანმრთელ გარემოზე ან მდგრად კლიმატზე)³²⁶ და ვერც ფიქტიური უფლებების მატარებელთა იდენტიფიკაციით (ე.ი., „მომავალი თაობების“ ან „დედა მინის“).³²⁷ იგივე ითქმის ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების ექსტრატერიტორიული გამოყენების გაფართოებაზე, რაც არ ხდება ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების შინაარ-

325 Contra Peel & Osofsky, supra note 11. On the implications for Urgenda, Natur og Ungdom, and Duarte Agostinho, *ib.*: text at notes 311, 313, and 314 supra, respectively.

326 Contra David R. Boyd, Catalyst for Change: Evaluating Forty Years of Experience in Implementing the Right to a Healthy Environment, in THE HUMAN RIGHT TO A HEALTHY ENVIRONMENT, supra note 128, 17, at 41.

327 *ib.*; მაგ.: UNFCCC, supra note 1, *pmb.*, პარაგრ. 24; Paris Agreement, supra note 1, *pmb.*, პარაგრ. 14.

სისა და მიზნის ღალატისა და მათი ტროას ცხენად გამოყენების გარეშე ახალ სამიზნეთა სამსახურის განმავლობაში.

